ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 23 (1358)

14-20 ივლისი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

№ 46ია

1993 წლის 23 • იენისი

ქ. თბილისი

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს თხოვნა და გამოეყოს მას საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტით მიმდინარე წლის I იანვრისათვის შემოსავლების ხარჯებზე გადანომეტი სახსრებიდან 85 მილიონი მანეთი ადმინისტრაციული შენობის /ბარნოვის ქ.№ 170/ კაპიტალური შეკეთების დასაფინანსებლად.

თ.სიგუა

პრემიერის მორიგი ტყუილი!..

ქვეყანა, რომელიც ომს აწარმოებს, ომის დაწერილი და დაუწერელი კანონებით უნდა ცხოვრობდეს. ომის დაუწერელი კანონებიდან ერთერთს კი ხატოვნად წელზე ქამრის მოჭერა ჰქვია. საქართველო დღეს სამართლიან ომს აწარმოებს თავისი მიწაწყლის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამიტომ ბევრი რამ უნდა მოვიკლოთ, ცოტა რამეს უნდა შეეცლოთ, ბევრ რამეზე უარი უნდა ვთქვათ. იცის ეს ჩვენმა ერმა და ამიტომ ითმენს მოუთმენელს, ამიტომ არ აჰყოლია და არც აჰყვება ქვეყნის სიდუხჭირით,პოლიტიკური სარგებლობის მიღებაზე მეოცნებეთა ვითომცდა მამულიშვილურ მოწოდებებს, ამიტომ არ გამოდის ქუჩებში!.. არადა ათეული ათასობით კაცი შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს, ათასობით ოჯახს კი ერთი დღის ულუფა პურის ფულიც სანატრელი გახდომია...

შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან ლტოლვილი ათასობით კაცი უსახლკაროდაა დარჩენილი. დანგრეულია ცხუმი, ათობით დაბა-სოფელი. ომი გრძელდება და ვინ იცის კიდევ რამდენი სახლი აღიგვება პირისაგან მიწისა, რამდენი ოჯახი დარჩება ღია ცის ქვეშ!.. და ასეთ დროს, ესოდენი სიგრძისა და სიდუხჭირის ფონზე, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო თურმე თავისი შენობის გარემონტება — გაკოპწიავებაზე ფიქრობს. ამასწინათ მან თხოვნით მიმართა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ბატონ თენგიზ სიგუას, „ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთების დასაფინანსებლად მისთვის 85 მილიონი მანეთის გამოყოფის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტით მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შემოსავლების ხარჯებზე გადანომეტი სახსრებიდან“. ჩვენი მთავრობის მეთაურმაც დიდსულოვნად მოაწერა ხელი განკარგულებას რომლითაც დააკმაყოფილა ფინანსთა სამინისტროს თხოვნა. 85 მილიონი, ერთი შეხედვით, დღევანდელი ჰიპერინფლაციის პირობებში შეიძლება ბევრს არცთუ ისე დიდ თანხად მოეჩვენოს, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, აღმოჩნდება რომ ამ თანხით 60 ათასი უპოვარისთვის ყოველდღიურად ერთი კილოგრამი პურის უსასყიდლოდ მიცემა ყოფილა შესაძლებელი მთელი თვის განმავლობაში. მაგრამ აქ მარტო ეს არაა მთავარი. მთავარი მაინც ისაა, რომ პრემიერ-მინისტრმა ამ დოკუმენტის ხელმოწერით შეგნებულად მოიტყუა, რადგან ვინ ვინ და მან ყველაზე უკეთ იცის, რომ 1992 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლებს არათუ არ გადაუმეტებიათ ხარჯებისათვის, არამედ 25 მილიარდიანი დეფიციტი გვქონდა.

თქვენი არ ვიცი ძვირფასო მკითხველებო და მე სწორედაც რომ არ გამკვირვებია პრემიერ-მინისტრის ეს ტყუილი, რომელიც არც პირველი იყო და ვგონებ არც უკანასკნელი იქნება.

აპოლონ ტაღლაძე

ჩვენ მოსაგებ პარტიას ვთამაშობთ

რედაქციას ბატონ ნოდარ ნათაძესაან შეხვედრა-გასაუბრებისთვის სული მცირეოდა მიზეზი ჰქონდა, მაგრამ რიდსაც იგი მაინის თვის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ მოკავშირედ დასახელეს, ამერიკაში იყო და, ბუენბრიეა, მასთან შეხვედრა ვერ შეძლო. ჩამოსვლის შემდეგ ამერიკელი მიაბეჭდილებების გაზიარება რომ მოინდომეთ მკითხველისთვის, აფხაზეთში ფრონტის წინა ხაზზე გაგვაყრო.

თბილისში — დაბრუნების შემდეგ ინფარქტი აღარაფერი დაბრკოლება აღარ გეჩენებოდა, მაგრამ... მოცლედ გაზეთ „საქართველოში“ მისი ინტერვიუ სული ბოლოს აიწყო.

— ბატონო ნოდარ, ჩვენს ინტერვიუში დროის თანმიმდევრობა დავიცვათ. დავიწყოთ იმით, რომ მაინში თქვენმა პოლიტიკურმა რეიტინგმა მართალია 0,7-ით, მაგრამ მაინც გაუსწრო თვით ბატონ ედუარდ შევარდნაძის რეიტინგს. საინტერესოა როგორ შეაფასებთ თქვენ ამ მოვლენას?

— მე არა ვარ დარწმუნებული რომ გამოკითხვის მეთოდიკა სიტუაციის ადეკვატურია. ვფიქრობ ამ შემთხვევაში რომელიმე პარამეტრის უსაფუძვლო განზოგადება მოხდა. გამოკითხულთა შაბეჭდილება ეყრდნობოდა მათი რჩეულის ამა თუ იმ ნაბიჯს თუ ფრაზას და ვერ გათვალისწინეს ან ვერ შეაფასეს უფრო მკვიდრი და დიდი სახელწოდ მონაპოვრები.

— ბატონო ნოდარ, რამდენადაც ვიცი, პრესაში ნაკლებად გამუქდა ჩვენი დელეგაციის ამერიკული ვიზიტი, ინტერვიუში ალბათ გაგვიჭირდება ამ ხარვეზის შევსება, მაგრამ იქნებ მოხერხდეს ვიზიტის უმნიშვნელოვანესი დეტალების მოკლედ გახსენება?

— შეერთებულ შტატებში პარლამენტის ათი წევრი მიგვიწვია ამ ქვეყნის კანონმდებელ ორგანოთა ვინფერენციამ. სხვათაშორის კანდიდატებიც თვითონ შეარჩიეს და ხარვეზიც მასინ-ძლეშა გაიღეს.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის იყო, რომ ჩაეიჭედეთ დაბეგვრის იქაურ სისტემაში და დაეწერეთ რომ საქართველოსთვის ყველაზე უკეთესი იქნება დაბეგვრა ხდებოდეს, არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ ავტონომიურ და მუნიციპალურ დონეებზეც.

ამას გარდა, ჩვენ საშუალება მოგვეცა ამ ქვეყნის პოლიტიკური წრეებისათვის გაგვეცნო საქართველოს პრობლემები. პირადად მე გამოვედი რადიო „ამერიკის ხმაში“, როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ, ენებზე. ჩვენ ყველას ვაფრთხილებდით რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ დაადგება დემოკრატიული განვითარების გზას, თუ მას დაეკარგება გეოგრაფიული ექსპანსიის შიდა. აქედან გამომდინარე ვაფრთხილებდით, რომ დახმარებოდნენ, რუსეთის მოწინააღმდეგე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს.

ჩემდა სახიხარულოდ, ეს ლოგიკა ამერიკელებისათვის მისაღები აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსული საშინელი პოტენციალის დახუსტება-გაუქნებელყოფა დასავლეთის ყველაზე მწვავე აქტუალური ამოცანაა, შეგვიძლია ბედი ვაქებინოთ, რომ ისინი ძალისხმევას არ დაიშურებენ ამ მიზნით და ყველანირად შეეცდებიან შეეწინააღმდეგონ ახალი საბჭოთა კავშირის აღორძინებას.

პირადად ჩემს მსჯელობას ვაგებდი იმაზე, რომ ელცინი და ვირონოვიკი თანაბრად არიან იძულებულნი დაეპორნილნენ მასას ანუ საშუალო ფენას, რომელიც კვლავ იმპერიული ხელისკეთებით ცხოვრობს. ამიტომაც იგი ანტიქართულია და ვისაც ხელს შეიფლეთის გადმოკრატულება, უპირველესად, ეს იმპერიული ანროვნება და ხელისკეთება უნდა დაშალოთ.

რაც შეეხება კავკასიურ პრობლემას, მე ისინი დავარწმუნე, რომ ისლამური ორიენტაციის მხრივ ჩვენთან არავითარი საშიშროება არ არსებობს. კავკასიელებს გააერთიანებს საერთო კულტურა, ადათ-ჩვეულები და რაც მთავარია კავკასიური უპირატესობის „კომპლექსი“.

ისე რომ, ჩვენს ვიზიტს ამერიკელთა ცნობიერებაში ბევრი სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა.

— ბატონო ნოდარ, ამერიკაში გამგზავრება ბევრისათვის სიხარულთანაა დაკავშირებული, მაგრამ წარმომიდგენია თქვენ როგორ მტკივნეულად განიცდიდით საშობლოსაგან თუნდაც დროებით მოწყვეტას, რადგან აქ ომია და შეიძლება ბევრი გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს.

— მართალი ბრძანდებით, წასვლა ძალიან გამიჭირდა. მიუხედავად მასპინძელთა გულისხმიერებისა და გულუხვობისა, ერთი სული მქონდა როდის დამთავრდებოდა ეს ვიზიტი.

— ბატონო ნოდარ, თქვენ სულ რამდენიმე დღეა დაბრუნდით აფხაზეთის ფრონტის ხაზიდან. თბილისში სმა გავრცელდა რომ ოჩამჩირეში შევხვდით ლითი ქობალიას, ამდენად ალბათ უპრიანი იქნება კომენტარი გაუკეთოთ გაზეთ „დროში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაწყვეტს: „ლითი ქობალიას მოადგილის ოთარ უბილავას თქმით კი დაუმორჩილებელ შეიარაღებულ ფორმირებებსა და სამთავრობო ჯარს შორის შერიგებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება და ისინ მხოლოდ იმიტომ ჩაერიენენ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში, რომ ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეს არ ჩააბარის სისუმი და აფხაზეთი“. დაახლოებით იგივე უფრო მწვავე კონტექსტებთ, განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ. ეს ტექსტი მოგეხსენებათ, ირაკლი წერეთელმა წაიკითხა და პარლამენტის სესიაზე.

— „დროში“ მოყვანილ სიტყვებს თუ გავშიფრავ, იმას ნიშავს, რომ ლითი ქობალია და მისი სამხედრო ფორმირება იმიტომ ჩავა ომში, რომ მტერს არ გაამარჯვებინოს ჩვენს ქვეყანაზე. ამას ცნობს ციტირებული სიტყვების ავტორიც და თუ ეს ასეა, დუბლების არავითარი საბაბი არა გვაქვს. გაუგებარია, რაღა რჩება პრობლემატური და საეჭვო.

ახლა კი ისს მოგასსენებთ, რაც ენახე და მოვისმინე. უპირველესად ავღნიშნავ რომ ქობალიას რაზმი, მსედრიონი, ხობის რაიონის, ქალაქ ზუგდიდის, ოსურგეთის რაიონის რაზმები, აგრეთვე რაზმი „თბილისელი“ და სოფელ ცაგერის მებრძოლები ერთად მხარდამხარ იბრძვიან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს პირველი ორი.

ჩემს იქ ყოფნაში ქობალიას რაზმთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ ყოფილა. ეს ბუნებრივიცაა, საქართველოს კარსმომდგარს



დასასრული 6-ე მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება იქით, სამეგრელოში?

რა ხდება იქით, სამეგრელოში? — აგერ, უკვე მეორე წელი სრულდება, რაც ჩემი თბილისელი თუ არათბილისელი ნაცნობ-მეგობრები შეხვერისთანავე ამ კითხვას მისვამენ, როგორც იქაურ მკვიდრს. მე ვიცი, რომ მათი ეს ინტერესი არამხოლოდ ცნობისმოყვარეობითაა ნაკარნახევი, არამედ დიდი შინაგანი სურვილითაც გაერთიანებისაკენ, გამთლიანებისაკენ, რაც, საბედნიეროდ, უკვე დაიწყო კიდეც და რის შემსწრეც გავხდი სწორედ იქ, სამეგრელოში.

ამ ორიოდ კვირის უკან ოჯახითურთ ზუგდიდში, მშობლიურ სოფელში გავემგზავრე. რა თქმა უნდა, მატარებელი ვირჩიე, იაფიცაა და უფრო უხიფათოც — მეთქი და სოხუმის მატარებლის ერთ-ერთ კუპეში მოვკალათდით. ომია და უთეთრეულობა არ გამკვირვებია, არც ის გამკვირვებია, რომ მატარებელი დაგვიანებით გავიდა სადგურიდან, არც იმაზე დამიფჩენია პირი, , რომ ღამის ქურდები პირდაპირ შეტევაზე გადმოდიოდნენ ნივთების ასაწაპნად და ბევრგან ბრწყინვალედ იმუშავეს კიდეც. გამაკვირვა იმან, რომ ამ არქეულ, ომის მდგომარეობაში მყოფ და ყაჩაღ-ბანდიტებისაგან აკლებულ ქვეყანაში არავინ ზრუნავს წესრიგზე და უკაცრავად პასუხია, ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ერთ მილიციელსა თუ პოლიციელს (სახელს რა ჭკუა აქვს) წამლად რომ გდომოდა, თვალს ვერ მოკრავდი კაცი, არადა, პოლიციის მაღალი ჩინები რიხიანად კი აცხადებდნენ ხოლმე, წესრიგს ვიცავთ ბატონოო.

მოკლედ, დიდის ვაი-ვაგლახით ჩავედით ინგირში, ზუგდიდის საკვანძო სადგურში. აქ ამბავი დაგვახვედრეს, რომ ჩემი სოფლისაკენ ტრასა დაკეტილია, ვერაფერს გაყვები და აჯობებს გალში ჩახვიდე, იქიდან გამოყვები რამესო. რა ხდება-მეთქი, მიზეზი რომ ვიკითხე, ასე მითხრეს რომელიღაც შეიარაღებული ფორმირება სოფელ ჭუბურხინჯთან დგას და ხიდს იქით (იგულისხმება ზუგდიდის ტერიტორიაზე) ლოთი ქობალიას რაზმები არ უშვებენო. ასე ამბობენ, ნაძარცვი მიაქვთ და ამიტომო. ჭორებისა და მოჭორავე ხალხისა ბევრი არაფერი მჯერა, მაგრამ ფაქტი კი ის იყო რომ გზა მართლაც დაკეტილი აღმოჩნდა და დილით გალში ჯალაბითა და ბარგი-ბარხანით ჩასულს მეორე დილამდე აქვე მომიწია ყურყუტი.

გალისთვის დაუტყვია ომს თავისი კვალი. დადიან ფორმიანი, ავტომატიანი ბიჭები, ოჩამჩირეში არტილერიის კანონადა აქ სახლებს აზანზარებს და მინებს აწკრიალებს.

— ღმერთო, შენ გაამარჯვებინე ჩვენს ბიჭებს — ყოველი ასეთი ბათქის შემდეგ პირჯვარს იწერენ შავოსანი ქალები.

ომი იმითაც იგრძნობა აქეთ, რომ არათუ ბენზინი, დიზელის საწვავიც კი დეფიციტია და ტრაქტორი და ცხენშებმული საზიდარი დიდ პატივშია. თუმცა ჩემი ჩასვლის დღეს ტრაქტორის თუ ცხენის შოვნაც კი ვერ მოვახერხეთ, რომ ბარგი-ბარხანა მიგვეტანა ნათესავის სახლში.

მეორე დილით როგორც იქნა, გაიხსნა გზა და ბედზე თბილისის ავტობუსმა გაგვიჩერა. ნახევარ საათში სახლში ვართ. აქეთ უკვე ვეღარ იცნობ ხალხს, ყველას დაეტყო გაჭირვების, ომის კვალი, იმ საერთო უზნეობისა და უპატრონობის დაღი, ჩვენი ქვეყნის სხეულს რომ მოსდებია და უმოწყალოდ ხრავს.

ძალიან უჭირს ხალხს. თუმცა დალხინებული ვინაა დღეს ჩვენში? ან რომელი კუთხე საქართველოსი? თუმცა ზოგზოგები , როგორც ამბობენ, საზღვარგარეთ პრესტიჟულ ქალაქებში სახლებსაც კი ყიდულობენ თურმე და არც შვეიცარიისა და იტალიის კურორტებს აკლებენ ხელს. ღმერთმა შეარგოთ თუ ეკუთვნით, მაგრამ ამ გაწამებულ, გატანჯულ, უპურობით, უბენზინობით, უწესრიგობით, კატასტროფული ფაზებით გადაშენების პირას მისულ ხალხს რას ვეუბნებით?

ხალხი ვის ანაღვლებს. ზუგდიდში (და სხვაგანაც) ჩაის პლანტაციები აქა-იქ თუა დაკრეფილი (ისიც კერძო პირების მიერ), რაზე დავკრიფოთ, კილოგრამში ოცდახუთიდან ორმოც კუპონამდე მოგცემთ, გვეუბნებიანო, ამბობენ ქალები. თვითონ ასეულობით მანეთებზე ყიდიან და ჩვენ კი ორმოცი კუპონით უნდათ გაგვისტუმრონო.

არ ვიცი ამ ქალებმა მართალი თქვეს თუ არა, მაგრამ ჩაი რომ დაუკრეფავია, ეს აშკარაა და რაიონის ხელმძღვანელობამ თუ მართლაც ორმოცი კუპონი დააწესა ერთ კილოგრამ დაკრეფილ ჩაის ფასად, მერწმუნეთ, რომ ეს ჩაი არა თუ წელს, მომავალ წელსაც (თუ ფასები არ შეიცვალა) დაუკრეფავი იქნება.

იმასაც ამბობენ, რომ სიებით შაქარი, ზეთი, მაკარონი, მარგარინი არ ყოფილა და თუ იყო, ისიც დაწესებული ნორმის ნახევარი დაგვირიგესო.

ეტყობა ვიღაცეები ცრუდ ითბობენ ხელს ხალხისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე. ასეა პურზეც. რაიონში ფქვილი საკმაოდ შემოდის თურმე, მაგრამ მერე იყიდება და ხალხი უპუროდ რჩებაო. თუმცა ამ ბოლო ხანს დაეტყოთ ცხობა და ოთხას გრამ პურს არიგებენ თითო სულზე, ისიც მხოლოდ ქალაქში.

ისევე, როგორც გალში, არც ზუგდიდშია ტრანსპორტი. ხალხი ფეხით, თუ ბედმა გაუღიმა ტრაქტორით ან ცხენით მგზავრობს, ლიტრი ბენზინი 1200-დან 1500 მანეთამდე ღირს, ისიც დეფიციტია.

კვლავ არ მუშაობს წარმოება-დაწესებულებები, ფაბრიკა-ქარხნები. გაჩერებულია ქაღალდის კომბინატიც, — ამ დარგის ყველაზე მსხვილი საწარმო რესპუბლიკაში. ამჯერად პოლიტიკა და პოლიტიკური მრწამსი არაფერ შუაშია. მიზეზი უბრალოა — არ არის საწვავი, ნედლეული სხვა აუცილებელი კომპონენტები, რომ საწარმოებმა იმუშაონ და პროდუქცია აწარმოონ.

საპირისპირო სურათია კერძო სექტორში. მოსახლეობა დიდი მონდომებით ამუშავებს საკარმიდამო ნაკვეთებს, საყანედ გამოყოფილ მიწებს. მოსალოდნელი შიმშილობის საფრთხით დაშინებული ხალხი დაუმუშავებლად მტკაველ მიწასაც არ ტოვებს.

ფასებით დღეს ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ზუგდიდში თბილისთან შედარებით 30—50 პროცენტით უფრო სიძვირეა. ამას ისიც განაპირობებს, რომ იგი ერთგვარ ბლოკადაშია მოქცეული. ქალაქის შესასვლელს ქობალიას რაზმელები აკონტროლებენ და როგორც აქ ამბობენ, ერთგვარი ბაჟიც კი დაუწესებიათ იმათთვის ვისაც სავაჭროდ საქონელი შეაქვს და გამოაქვს (უცნაურია მაგრამ იმას უფრო მეტს ახდევინებენ თურმე, ვისაც საქონელი შეაქვს). ხოლო ხობის რაიონში, თუ არ ვცდები სოფელ ხეთასთან გვარდიელები თუ „მხედრიონელები დგანან და იქაც შეუმოწმებლად არ უშვებენ მანქანებს, და ეტყობა, თავისებური ბაჟი იქაცაა დაწესებული. ეს ყველაფერი კი აძვირებს გასაყიდ საქონელს და საბოლოოდ ხალხი ზარალობს.

ასეთივე „საბაჟოა“ მოწყობილი გალის საზღვარზეც. აქ ასეთ სურათს შევესწარი. ჩვენი ავტობუსის ჩხრეკისას ერთ შაოსან ქალბატონს სპილენძით სავსე სამი ჩანთა აღმოუჩინეს, სამივე ალბათ ას კილოგრამზე მეტს იწონიდა. ხომ იცით, რომ სპილენძის გატანა არ შეიძლება, ხომ გაგაფრთხილეთო, უთხრეს ამ ქალბატონს, მანქანის მძღოლს და სამივე ჩანთა ჩამოართვეს. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ერთერთ რაზმელს ვკითხე სად მიგაქვთ მერე ეს სპილენძი მეთქი, კომენდატურას ვაბარებთო. თუმცა ხალხში სხვანაირი მითქმა-მოთქმა იყო ამის თაობაზე, მაინც მისასალმებელია ასეთი ღონისძიება, რადგანაც სპილენძის გატანისა და ადგილებზე მისი შოვნის მცდელობის ფაქტებს რამდენადმე შეამცირებს მაინც.

მოსახლეობა ემადლიერება ბატონ ლოთი ქობალიას. წესრიგი დაამყარა, ადგილობრივ პოლიციასთან ერთად ბანდიტ-ყაჩაღებს კისერი მოუგრიხა და მოვისვენეთო, ამბობენ.

ეტყობა, ბატონმა ლოთი ქობალიამ ზუგდიდში შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ღღევანდელმა ხელისუფლებამ რესპუბლიკის მასშტაბით.

აქ დღეს უკვე ნაკლებს ლაპარაკობენ ყოფილ ხელისუფლებაზე, თუმცა მათ, ვინც ფანატიურად ერთგულია მისი, თავიანთი პოლიტიკური მრწამსი არ შეუცვლიათ. დღეს ყველას აფხაზეთის ბედი აწუხებს. ყველა ომზე, რუსეთის როლზე ამ ომში და საერთოდ, აქედან გამომდინარე საქართველოს ბედზე ლაპარაკობს. ლაპარაკობს გულისტკივილით, წუხილით, დიდი სწრაფვით გაერთიანებისკენ, ერთად დგომისკენ, გამარჯვებისკენ, და მე შემიძლია ვთქვა, ბედნიერი კაცი ვარ, რომ ამ გაერთიანების, ამ დიდი შერიგების პროცესის დასაწყისს სწორედ აქ, ზუგდიდში, რომელსაც და რომლის მოსახლეობასაც არცთუ სასიამოვნო სიტყვებით იხსენიებდნენ ხოლმე, ამ წლინახევრის მანძილზე რესპუბლიკაში ზოგიერთი ყველასათვის ცნობილი ადამიანებიც კი, მოვესწარი და საკუთარი თვალით ვიხილე აქაურთა ის ერთსულოვნება და ენთუზიაზმი, ოჩამჩირეში ლოთი ქობალიას რაზმების ქართული ფორმირებების გვერდით დადგომამ რომ გამოიწვია.

ზუგდიდიდან გარდა ლოთი ქობალიას რაზმელებისა, ბევრი მოხალისეც გაემგზავრა აფხაზეთში, მოსახლეობა სურსათ-სანოვაგეს, მედიკამენტებს, ფულს, ტანსაცმელს აგროვებს იქ მეომარი ბიჭებისთვის და მჯერა, ამ საერთო სახალხო ენთუზიაზმს, საშობლოს ბედისთვის ამ ერთობლივ ბრძოლას უეჭველად მოჰყვება დიდი გამარჯვება, გამარჯვება როგორც გარეშე მტერთან, ასევე შინაურ ამბიციებთან და ყველა იმათი მცდელობა, ვინც მეგრულ სეპარატიზმზე ლაყბობით ცდილობს წყლის ამღვრევას, ისევ ამ წყალს გაჰყვება.

ისე ერთი რამ უნდა ვთქვა ჩვენი ძმების, კოლეგების მისამართით: ჩვენ ხშირად ვაკრიტიკებთ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს სხვადასხვა გამიზნული დეზინფორმაციების გავრცელების გამო და სამართლიანადაც. მაგრამ ხშირად ჩვენც ვცოდავთ ხოლმე, ისეთ შეუმოწმებელ ინფორმაციებს ვუშვებთ, რომელმაც შეიძლება გამოუწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ეს განსაკუთრებით ტელევიზიის მუშაკებზე ითქმის. ამ ორი კვირის წინ ტელევიზიით გადაიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ქობალია გუდაუთის დაჯგუფებასთანაა ალიანსში, ტამიშთან „გრადები“ დააყენა და სოხუმის დაბომბვას ელოდება, რომ თვითონაც საბრძოლო მოქმედება წამოიწყოსო. თუმცა იმავე საღამოს ტელევიზიამ ბოდიში მოიხადა ამ ინფორმაციის სიმცდარის გამო, მაგრამ ზუგდიდელებში მან თავისი კვალი დატოვა, — ბევრი არ ენდობა ქართულ ტელევიზიას (რა თქმა უნდა არც რუსულს) ბევრ ტყუილს ამბობენო და ამაში ლომის წვლილი სწორედ ამგვარი შეუმოწმებელი ინფორმაციების გადაცემასაც მიუძღვის.

უფრო გულსატკენი კი ის არის, ვინც ტელევიზიაში ეს ინფორმაცია მოამზადა და ეთერში გასასვლელად ნება დართო, ერთი წუთით მაინც არ დაფიქრდა იმაზე, რომ ქობალიას რაზმში გადამთიელები კი არა, ჩვენი სისხლი და ხორცია, ჩვენი ჯილაგის ბიჭები არიან და მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა, ვიგინდარა არძინბას და მის ამფსონებს არ შეეკვრებოდნენ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. აკი დადასტურდა კიდეც ეს.

მიუხედავად ომისა, გაჭირვებისა, მაინც იმედიანად წამოვედი ზუგდიდიდან. იმედიანად, რადგან ზუგდიდი და მთლიანად სამეგრელოც ერთ მუშტად შეიკრა საერთო მტრის წინააღმდეგ და დადგა იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდება. დღეს აფხაზეთში ერთად იბრძვიან ზუგდიდელები და თელაველები, გორელები და წალენჯიხელები, ხობელები და თბილისელები, ფოთელები და ქუთაისელები, მარტვილელები და რუსთაველები, ჩხოროწყუელები და კასპელები, სენაკელები და ოზურგეთელები... სრულიად საქართველო. სამშობლოსთვის ერთად დანთხეული სისხლი კი იმის აუცილებელი გარანტია, რომ ხვალაც, ზეგაც, შორეულ მომავალშიც კვლავ ერთად იბრძოლებს და ეშრომებს სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, ქართლი, გურია, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, ლეჩხუმი და რაჭა, საქართველოს ყველა კუთხე, მისი ერთიანობისთვის და უკეთესი მერმისისათვის.

სერგო ჯანაშია
ზუგდიდი — თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის ისტორიიდან

გზის დასაწყისი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის გააზრება წარმოუდგენელია საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციათა საქმიანობის შესწავლის გარეშე. მათ შორის ერთ-ერთი სერიოზული და მრავალრიცხოვანი ორგანიზაციაა საქართველოს სახალხო ფრონტი, რომელიც უკანასკნელ წლებში აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი საქმიანობის ძირითადი მომენტების გაცნობა.

საქართველოს სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებისათვის მუშაობა 1988 წლიდან დაიწყო. 12 ნოემბერს მწერალთა კავშირში შედგა შემოქმედებითი კავშირებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც აირჩია რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფი: აკ. ბაქრაძე, ნ.ნათაძე, ზ.გამსახურდია, მ.მაჭავარიანი, რ.ჯაფარიძე, ი.შენგელაია. ჯგუფის ძირითადი ამოცანა იყო სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის მომზადება. მალე მან გამოაქვეყნა სათანადო განცხადება პრესაში. (იხ.გზ.. კომუნისტი 1988წ. 15 ნოემბერი). დაიწყო სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, მაგრამ რესპუბლიკაში არსებული საერთო დაძაბულობის გამო მუშაობა შეფერხდა.

1988 წლის 2 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა კრება, რომელმაც კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა. (გ.ნოდია, ნ.ხაზარაძე, გ.ყორანაშვილი, ვ.შავრაშიძე და სხვ.) აკადემიის სისტემის 20 დაწესებულების პირველად ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შეიქმნა რწმუნებულთა საბჭო. მან დახმარებისათვის საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს მიართა. მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ ე.შენგელიამ შესთავაზა საბჭოს კინემატოგრაფისტთა კავშირის დარბაზი. აქ ჩატარდა პირველადი ორგანიზაციების კონფერენცია, რომელსაც 500-მდე წარმომადგენელი დაესწრო. კონფერენციამ აირჩია საორგანიზაციო კომისია: ალ.ჯავახიშვილის, გ.თუმანიშვილის, ნ.ჭავჭავაძის, გ.ბერიშვილის, თ.ნერგაძის, გ.ყორჟოლიანის, ე.შენგელიას, მ.მამარდაშვილის, ბ.გორგილაძის, გ.გავაშელის შემადგენლობით. საორგანიზაციო კომისიამ და ადრე ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავეს სახალხო ფრონტის პროგრამის პროექტი, რომელიც განსახილველად და შენიშვნებისათვის დაეგზავნათ პირველად ორგანიზაციებს.

1989 წლის დასაწყისისათვის სწრაფი ტემპით გაგრძელდა პირველადი ორგანიზაციების შექმნა. პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარა 9 აპრილის მოვლენებმა. აქტიურად ჩაებნენ მოძრაობაში უმაღლესი სასწავლებლები, საპროექტო ინსტიტუტები, გამოთვლითი ცენტრები, შემოქმედებითი კავშირები ფაბრიკა-ქარხნები, თეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები.

თბილისის ცალკეული რაიონებში და რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში შეიქმნა რეგიონალური სახალხო ფრონტები, რომლებიც ათეულობით პირველად ორგანიზაციას და მხარდამჭერთა ჯგუფს აერთიანებდნენ.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. 1989 წლის 7 მაისს შეიკრიბა ნალჩიკის პირველადი ჯგუფი ყაბარდო-ბალყარეთში, მასში 12 კაცი გაერთიანდა. მაისშივე სახალხო ფრონტის მხარდამჭერთა 16 კაციანი ჯგუფი შეიქმნა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების მცხოვრებთაგან. დაარსდა პირველადი ჯგუფი ლენინგრადშიც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვ.სიხარულიძე.

პირველადი ორგანიზაციების ოქმების გაცნობა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მათი ჩამოყალიბების პროცესს. არც თუ იშვიათად კრებები ტარდებოდა ნაჩქარევად, წინასწარ სათანადო მომზადების გარეშე. ზოგიერთ ოქმში მითითებული არ არის კრების ჩატარების თარიღი. უფრო ორგანიზებულად ტარდებოდა კრებები იქ სადაც ესწრებოდნენ რესპუბლიკური საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელნი. ცხადია, ისინი ვერ შეძლებდნენ ყველა კრებაზე მისვლას და ცდილობდნენ დიდ ორგანიზაციებში მაინც გაეგზავნათ ხალხი. 1989 წლის 6 მაისს საგარეჯოს კულტურის სახლში გამართულ კრებას დაესწრნენ ნ.ნათაძე, დ.ხომასურიძე, მ.დათუკიშვილი, კინომსახიობი ბ.წულაძე. ზოგი კრების მიმდინარეობა შუქდებოდა პრესით და ტელევიზიით. ასეთი კრება შედგა 1989 წლის 18 მაისს წითელწყაროში (დედოფლისწყარო) მას რესპუბლიკური საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკები. კრების შესახებ ინფორმაცია მოათავსა ადგილობრივმა გაზეთმა „ახალმა შირაქმა". სახალხო ფრონტის ორაგნიზაციების დაჩქარებით ჩამოყალიბებამ თუ ერთი მხრივ გამოიწვია ცალკეული ნაკლოვანებები, მეორე მხრივ გამომჟღავნა დიდი ენთუზიაზმი და იმედები, რასაც ხალხი ამ ორგანიზაციაზე ამყარებდა. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფის მუშაობას საწყის ეტაპზე — იგი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა რაც შეიძლება მეტი პირველადი ჯგუფი და რეგიონული ორგანიზაცია, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დელეგატთა არჩევა რესპუბლიკური კონფერენციისა და სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობისათვის. მთავარი ამოცანა იყო სახალხო ფრონტი გაეტარებინათ რეგისტრაციაში და მას მიეღო ოფიციალური ორგანიზაციის სტატუსი აქედან გამომდინარე ყველა შესაძლებლობით.

1989 წლის მაისის დასაწყისში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის დეკლარაცია. მასში ნათქვამი იყო, რომ სსფ წარმოადგენს საერთო სახალხო სამოქალაქო მოძრაობას, რომელიც აერთიანებს საქართველოს მოქალაქეებს ჰუმანური და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ყოველმხრივი განვითარების მიზნით. აქ ჩამოთვლილი იყო მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებისათვის ზრუნვა; ხელისუფლების ორგანოებში საკანონმდებლო წინადადებების წარდგენა; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა და სხვ.

მოსამზადებელი სამუშაო დასრულდა და 1989 წლის 21 ივნისს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა. მან მიიღო წესდება, პროგრამა და აირჩია სსფ ხელმძღვანელი ორგანოები. კენჭისყრაში 1415 დელეგატი მონაწილეობდა. გამგეობაში აირჩიეს: ნ.ნათაძე (თავ-რე), ნ.გელაშვილი, შ.წიწუაშვილი, ე.შენგელაია, ს.ხუციშვილი, თ.გამყრელიძე, შ.ნადირაშვილი, დ.ტურაშვილი, ა.მარშანია, კ.იმედაშვილი, ნ.წულეისკირი, რ.ლორთქიფანიძე, ა.ჯავახიშვილი, ლ.ღოღობერიძე, ა.იმნაძე, მ.მამარდაშვილი, გ.პეტრიაშვილი, რ.თაბუკაშვილი, რ.ჩხეიძე, ნ.ჭავჭავაძე, ც.სვანიძე, რ.თაქთაქაძე, დ.ბერძენიშვილი, გ.მარჯანიშვილი, ზ.კიკნაძე, გ.ყორანაშვილი, ჯ.ჩარკვიანი, ბ.გეგეშიძე, გ.ბუღაძე, ა.ტუღუში, გ.გავაშელი, თ.გოგჩსაძე, თ.შავგულიძე. ყრილობაზე დამტკიცდა საქართველოს სახალხო ფრონტის ჰიმნი — ი.ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი რ.ლაღიძის სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ" გამოცხადდა კონკურსი ფრონტის დროშასა და ემბლემაზე.

პროგრამის მიღებს საკითხი 1989 წლის 22 ივნისის სხდომაზე დაისვა. მის ცალკეულ პუნქტებზე გაიმართა კამათი. კამათში გამოსული თითქმის ყველა დელეგატი არღვევდა რეგლამენტს, ზოგიერთი აშკარად უხვევდა განსახილველი პრობლემიდან და სულ სხვა საკითხებზე მსჯელობდა. ბოლოს მოხერხდა პროგრამის ძირითადი ნაწილის მიღება.

საინტერესოდ წარიმართა თავმჯდომარის არჩევნები 24 ივნისის სხდომაზე. დაასახელეს რამდენიმე კანდიდატი: ნ.ნათაძე, მ.მამარდაშვილი, ა.იმნაძე, ე.შენგელაია, გ.ყორჟოლიანი, მ.კოკოჩაშვილი, ზ.გამსახურდია. მ.მამარდაშვილმა. ა.იმნაძემ, რ.ჩხეიძემ, მ.კოკოჩაშვილმა, ზ.გამსახურდიამ თავიანთ კანდიდატურებს აცილება მისცეს. ე.შენგელაია თბილისში ჩამოსულ დედა ტერეზას ახლდა და სხდომას არ ესწრებოდა. წესდებიდან გამომდინარე ყრილობამ შეუძლებლად ცნო კენჭი ეყარა მისი კანდიდატურისთვის. თავმჯდომარედ აირჩიეს ნ.ნათაძე. დაისვა სახალხო ფრონტის გაზეთის გამოცემის საკითხი. მის რედაქტორად თავისი მუშაობის დასასრულს ყრილობამ მ.ფაჩუაშვილი დაამტკიცა.

ასე დასრულდა საქართველოს სახალხო ფრონტის ორგანიზაციული ჩამოყალიბების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

მამია დღვილავა

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

(გაგრძელება იქნება)

ალანები აფსუეთის ფრონტზე



„ადამხდა გადასავალი კვლავ უარესსა მოველი."— არძინბას კოლეგა თორეზ კულუმბეკოვი მისთვის მოულოდნელად დასრულებული პატიმრობისას.

ჯერ კიდევ ორ ივლისამდე, სოხუმზე მტრის მძლავრი იერიშის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე ცხინვალიდან იკაროსის მარკის ორი ავტობუსით აფხაზეთისაკენ გაემგზავრა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „შეიარაღებული ძალების" ბატალიონი მყვირალა სახელით „ირ" (ოსეთი) ამდენად საქართველოს დასავლეთის ფრონტზე დაძაბულობის ვადის განსაზღვრა შესაბამის სამსახურებს არ უნდა გასჭირვებოდათ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აფხაზებს თავიანთი ყველაზე ერთგული მოკავშირეებისაგან ჯერ კიდევ 1989 წლის გაზაფხულზე ალან ჩოჩიევის მიერ შეპირებული დახმარება მისდით. მარტის ბრძოლების დროს, როცა ქართულმა ჯარმა პირველი სერიოზული შემოტევა მოიგერია ოსებმა იქ დიდი ზარალი ნახეს. ახლაც კბილებამდე შეიარაღებული და რაც მთავარია რუსი ინსტრუქტორების მიერ კარგად გაწვრთნილი ეს ქვეგანყოფი პირდაპირ ცეცხლის ხაზზე გადაისროლეს. უფრო სწორედ ქართულ სოფელ ზეგანთან გადასხმული საჰაერო დესანტი მთლიანად ოსებისაგან შედგებოდა. ყოველ შემთხვევაში ცხინვალიდან ამოსული ინფორმაცია ამას ადასტურებს. აქვთ დანაკარგებიც. პირველსავე დღეს ამ ბატალიონს ათამდე მებრძოლი გამოაკლდა. ალბათ მათ საფლავის ქვებს, თუ ეღირსათ სადმე მიწის მიყრა, ისეთივე სტყვებს დაწერენ, როგორც თავის დროზე ავღანეთიდან ჩამოტანილი ჯარისკაცებისას — ინტერნაციონალური ვალის მოხდისას დაღუპაო.

აღნიშნული ქვეგანაყოფიც და სხვა შეიარაღებული ფორმირებებიც იწვრთნებოდნენ და იწვრთნებიან ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პოლიგონზე, საიდანაც ქართულ სოფლებში ყოველდღე ისმის სხვადასხვა იარაღის სროლის ხმა. სამწუხაროდ ეს ხმები ვერ ახერხებენ გამოაღვიძონ ოსებთან აღებმიცემობით გართული ქართველები, ისევე როგორც არ რეაგირებენ ამ სროლაზე დიდი ლიახვის ხეობაში დაბანაკებული ჯარისა და პოლიციის ნაწილები. ისინიც სხვა მათთვის უფრო საშური საქმით არიან გართულნი. მერე როცა ურემი გადაბრუნდებაზზა გამოჩნდება, მაგრამ ვაითუ გზის დამნახავი აღარავინ იყოს.

რუსი სამხედროები არც მალავენ, რომ იქმათ „სამშვიდობო" ბატალიონთან ერთად ოსებიც ემზადებიან, ისევე როგორც არ მალავენ ის ოსები, რომლებიც ყოველდღიურ კონტაქტში არიან ქართულ მოსახლეობასთან. ოსი ეროვნების ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ჩრდილოეთშიც გაჰყავთ ისეთი სამხედრო პროფესიების ასათვისებლად რაც აქ არ ხერხდება. (არტილერისტები, ტანკისტები და სხვა).

ბუნებრივია ასეთ დიდ სამხედრო ხარჯებს ერთ პატარა ქალაქში ჩაბუდებული სუპარატისტული „მთავრობა" ვერ გასწვდებოდა რომ არა დაფინანსების რამოდენიმე სერიოზული წყარო. ამათგან უპირველესია რუსეთის მთავრობის, დიახ მთავრობის და არა როგორც საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს „გარკვეული წრეების" დახმარება. ასევე რუსი სამხედროების მიერ აქ დატოვილი უზარმაზარი ქონება, რომელთაგან ნაწილს თვითონ ხმარობენ, საბრძოლველად ურგები ტექნიკა ნაწილი გაყიდეს, ნაწილი გადაცვალეს. მეორე მძლავრი წყარო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაფანტული ოსების სერიოზული ფინანსური ინვესტიციები, რაც მილიონობით მანეთებში გამოიხატება, მესამე ის გადარიცხვითი მაქინაციები, რომელსაც ცხინვალის ბანკი აწარმოებს და რაზეც ადგილობრივი ხელმძღვანელობა შეგნებულად ხუჭავს თვალს. არცთუ პატარა დახმარება მიდის ცხინვალში სამხრეთიდანაც ანუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, კერძოდ კი თბილისიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ყველაზე ძვირი საქონელი ინფორმაციაა მაშინ აქედან იქ ჩასული დახმარება ყველა სხვა დახმარებაზე უფრო ღირებულია. დღიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა ოს სეპარატისტებს ყოველთვის ოპერატიულად ჰქონდათ ის ინფორმაცია თუ რა ხდებოდა თბილისის ელიტარულ წრეებში როგორც ხელისუფლებაში ისე ოპოზიციაში. პირველი შეიარაღებული დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობაში (თეთრი გიორგის შტაბში ატეხილი სროლა) ცხინვალში ზუსტად საათნახევრის შემდეგ იცოდნენ და მინი მიტინგიც მიუძღვნეს ქალაქის ცენტრში. შედარებისათვის სამი წელია ეს ომი მიდის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება აზრზეც არ არის თუ რა ხდება ერთი პატარა ქალაქის ხელისუფლების კულუარებში, ყავს თუ არა ოპოზიცია კულუმბეკოვს, თუ ყავს რა პოზიციაზე დგას, რას უნდა ველოდოთ მისგან და ა.შ.

ახლა როცა რუსეთმა გაამკაცრა დამოკიდებულება საქართველოს მ (იმედია მათი საგარეოსაქმეთა მინისტრს ხატყვებით აღარავინ ტყუვდება) თბილისიდან ოს სეპარატისტთა მკვეთავი ძარღვის ფეთქვა უფრო შესაშინავი ხდება. გაცხოველდა მისვლა მოსვლა. ცხინვალის შესასვლელში გაიგებ ისეთ რაღაც საქართველოს ცხოვრებიდან, რაზეც ნახევარი პარლამენტი აზრზეც არ არის. მოკლედ ქართველების ნარკოტიკებით მომარაგებასთან ერთად ხდება აქედან თანხებისა და მტრისათვის საჭირო ინფორმაციის გაწოვა, რისი აღკვეთაც თავისუფლად შეიძლება ამ რეგიონში ქვეყნის საკმე ელემენტარულად პატიოსან ადამიანებს რომ ევალოთ.

მერაბ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ნინიძე: საქართველოს ისეთი პროკურატურა ჰქავს, როგორიც თავად სახელმწიფოა

7 ივლისს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ინიციატივით სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში გაიმართა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან თედო ნინიძესთან. პრეს-კონფერენცია გახსნა გაზეთის რედაქტორმა ნოდარ გრიგალაშვილმა, რომელმაც მადლობა მოუხადა სტუმარს მობრძანებისათვის და აღნიშნა მისდამი საყოველთაო ხიმპათია, რომელიც პარლამენტის წევრებს შორისაც კი ვლინდება. ბატონმა თედომ თავისი საუბარი საერთო შესავლით დაიწყო.



თედო ნინიძე — 43 წლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტში. აგრძელებს ამჟამადაც. იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი, კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1992 წლის ნოემბერში პარლამენტის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად. ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

— დიდ მადლობას ვუხდი გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, სახალხო ფრონტს, რომლებმაც საჭიროდ ჩათვალეს ჩემი აქ მოწვევა. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლნიც დიდად ესწრაფვიან პრესასთან ხშირ შეხვედრებს. ადამიანთა საერთო სისუსტე — ის, რომ მათზე საუბარი სიამოვნებთ, მეც მახასიათებს, მაგრამ ვთვლი, რომ საუბარი მხოლოდ კონკრეტული საქმეების შედეგების მიხედვით შეიძლება. ჯერჯერობით კი, როდესაც გასაკეთებელი უამრავია, ხოლო გაკეთებული არ ჩანს, პუბლიკისკენ მეტისმეტი ლტოლვა მიზანშეწონილი არ არის.

მე თვითონ ჟურნალის რედაქტორობიდან ვარ მოსული და ესეც პასუხისმგებლობას მმატებს. ხშირად გაიგონებთ, ესა თუ ის უწყება და მათ შორის პროკურატურაც უნდა გაუქმდეს, რადგან ეს პოლიციური სტრუქტურა სოციალისტური სახელმწიფოსთვისაა შექმნილიო. მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებებს. დემოკრატიულ ქვეყნებში პროკურატურები არსებობენ, ან არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. საბჭოთა კავშირში მას თუმცა ერთგვარად შეცვლილი დანიშნულებაც ჰქონდა, მაგრამ ახლა მიმდინარეობს გადასინჯვა და კორექტირება. საერთოდ მართვის სტრუქტურების შეცვლა შეუძლებელია იქამდე, სანამ ძველი სოციალურ-ეკონომიკური პირობები უცვლელია. ვიდრე საკუთრების ძირითად ფორმას სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს, ზედამხედველი ორგანოები შენარჩუნებული იქნება. ეს კანონზომიერებაა. თუ არ იქნება პროკურატურა, მის ფუნქციებს სხვა უწყება იკისრებს, რადგან ეს თავად ცხოვრებით იქნება ნაკარნახევი.

პროკურატურის ძირითადი ფუნქციაა კანონიერებაზე ზედამხედველობა. რა ცვლილებებია დღეს ამ მხრივ? უპირველესად ის, რომ ვერანაირი შემოწმება ვერ ჩატარდება მიღებული სიგნალის გარეშე — საწარმოდან, პრესიდან ან საზოგადოებიდან კონკრეტული დარღვევების შესახებ. ამ მხრივ ჩვენი მთავარი მიზანია ავამოქმედოთ საკონტროლო მექანიზმი. თავდაპირველად სიგნალი გადაეცემა ზემდგომ ორგანოს, რათა უწყებრივად შეამოწმოს დარღვევის ფაქტები. თუკი მათ დასკვნებს არ ვენდობით, მასალებს ვაგზავნით კონტროლის პალატაში. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს თავად პროკურატურა ფაქტების შემოწმებას. სიგნალი აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი, არაანონიმური, გადამოწმებული. როდესაც გადაწყდება, რომ ამა თუ იმ უწყებაში საერთო ზედამხედველობის ხაზით პროკურატურა უნდა შევიდეს, დგება დადგენილება. ამგვარად განუკითხავი შესვლა და შემოწმება გამორიცხულია.

ერთ მაგალითსაც მოვიყვან — შემოვიდა დეპუტატის წერილობითი თხოვნა, რათა შეეკვემოწმებინა პარლამენტის სასადილო. ჩვენ ეს მასალები კონტროლის პალატას გადავეცით. სწორედ ამ მოდელით მესახება მე საერთო ზედამხედველობის, პროკურატურის მუშაობის ამ უნიშვნელოვანესი მიმართულების, კანონიერების ჩარჩოებში ჩასმა.

მეორე ძირითადი ფუნქცია არის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თუ უწყებების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების შემოწმება. ვიდრე ჩვენში არ არსებობს ადმინისტრაციული იუსტიცია ჩვენ ერთადერთი ორგანო ვართ, რომელსაც შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლება.

მესამე მიმართულება არის საგამომძიებლო საქმიანობაზე კონტროლი და საკუთრივ გამოძიება.

ცალკე გამოსაყოფია აგრეთვე ზედამხედველობის ფუნქცია ენიტენციალურ დაწესებულებებზე — ციხეებსა და კოლონიებზე. აუცილებლად უნდა აღვნიშნო არასრულწლოვანთა შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი. ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გართულდა — აღარ არსებობენ არასრულწლოვანთა კომისიები, ოთახები. სკოლა თუმცა თავის დროზეც ვერ პასუხობდა წაყენებულ მოთხოვნებს, ახლა საერთოდ ამოვარდნილია ამ მუშაობიდან.

პროკურატურას ჯერ ორი ახალი ფუნქციაც გაუჩნდა — ზედამხედველობა საინფორმაციო-სადაზვერვო და 'ბაკო დაწესებულებებზე. ამ მხრივ ფაქტია არასრულფასოვანია საკანონმდებლო ბაზა. აი, ასეთია ჩვენი ფუნქციები დღესდღეობით.

— თუ არის თუნდაც ერთი საქმე, რომელიც გამოცხადდა, რომ ძიებაშია, მაგრამ შედეგები ცნობილი არაა?

— გვაქვს საქმეები, რომლებიც გამოცხადდა, რომ წარმოებაში აქვს პროკურატურას და დღესაც დასრულებული არაა. მაგრამ გვაქვს სხვაგვარი შემთხვევებიც — გამოძიებაში ლოგიკური წერტილი დასმულია, მისი აფიშირება კი არ ხდება. საამისოდ შეიძლება გვქონდეს ოპერატიული მოსაზრებები. მაგალითად, შეიძლება შეჩერებული იქნეს საქმე, როდესაც სამართალდარღვევის სუბიექტი დღეს ომშია ჩაბმული. და ჩვენ ჩვენი ჩარევით შეიძლება სამხედრო სიტუაციაში არეულობა შევიტანოთ.

როდესაც საუბარია გაგრის ტრაგედიაზე, ან სხვა შემთხვევებზე, ეს ომის ეპიზოდებია და ჩვენ კომპეტენციაში არ შედის, ამიტომ ყველაფრის კრიმინალური თვალსაზრისით განხილვა მიზანშეუწონელია, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ეტაპზე.

— არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები?

— ეს ყველა პოლიტიკური სისტემათვის აქტუალური თემაა. მოდით, თავიდანვე გავერკვათ, რომელ დანაშაულს ეწოდება პოლიტიკური დანაშაული. ზოგადი დოგმატური დეფინიცია არ არსებობს. პოლიტიკურ დანაშაულს ხშირად უწოდებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებას — ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა, და თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირში ამ ტიპს მიკუთვნებული იყო უკანონო სავალუტო ოპერაციებიც კი. ჩემი პირადი აზრით, პოლიტიკურ პატიმრად მიმაჩნია ის ადამიანი, რომელიც იდევნება მხოლოდ თავისი პოლიტიკური შეხედულებებისათვისა და აზრებისათვის, რომლებსაც იგი ავლენს არაძალადატანებითი, მშვიდობიანი საშუალებებით. ისეთი საშუალებებით, რომელთაც არ მოჰყვებათ არავითარი კრიმინალური შედეგები — ადამიანთა დაღუპვა, დასახიჩრება, ქონებისათვის მიყენებული ზარალი. თუ ამ პოზიციიდან განვიხილავთ წამოჭრილ საკითხს, პოლიტპატიმრების საქმეები ჩვენთან დღეს წარმოებაში არაა და ასეთი პატიმრები არ არსებობენ.

— მიმდინარე წელს დააკავეს ინდოეთიდან ნარკოტიკ ნორფინის ჩამომტანი— გამაღიბელთა ჯგუფი. არის თუ არა ამ საქმეების გარკვეული შედეგები?

— რამოდენიმე ასეთი ეპიზოდი იძიება. საერთოდ იმ საქმეებს, რომლებიც ნარკოტიკის შემოტანასთან და შემდგომ გასაღებასთანაა დაკავშირებული, პროკურატურა არ იძიებს, მაგრამ ჩემთვის ცნობილია რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც დააკავეს ინდოეთიდან ნორფინის შემომტანი ქალები. გვაქვს ამაზე სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ ხელის მოობის ფაქტებიც.

რაც შეეხება ზოგადად ნარკომანიის პრობლემას, სახელმწიფოს მეთაურის დაკალებით შექმნილია მასთან ბრძოლის მეტად სერიოზული პროგრამა, სადაც გათვალისწინებულია მუშაობის რიგი მიართულებები — ნარკობიზნესი, მოხმარება და სხვ. მთელი რიგი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული იყო წინადადება, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები ავადმყოფად მიგვეჩნია და პასუხისმგებლობისგან გაგვთავისუფლებინა, რის წინააღმდეგაც მე წავედი, რადგან მოშიზმარებელი რობინზონი არაა. მათი დამცველი მეცნიერები საერთაშორისო გამოცდილებასაც იმოწმებდნენ, მაგრამ არაფერს ამბობდნენ, მაგალითად, თურქეთისა და საფრანგეთის კანონმდებლობაზე, რომელთა მიხედვით ნარკომანსაც ისჯება.

— რას გვეტყვით პროკურატურისა და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულებაზე.

— არსებობს ამ დამოკიდებულების ორი უმთავრესი ტიპი. პირველია ის სისტემა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებშია გავრცელებული, სადაც სამართალდამცავი სფეროს მწვერვალს სასამართლო წარმოადგენს, ხოლო პროკურატურას აკისრია ერთადერთი ფუნქცია — იგი ბრალდების მხარეა სასამართლოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ სისტემაში პროკურატურა მოკლებულია ზედამხედველობის ფუნქციას. ჩვენში პროკურატურას ასეთი როლი გაანია. რუსეთმა გადადგა ასეთი ნაბიჯი — მოქალაქეს შეუძლია პროკურატურის ნებისმიერი გადწყვეტილება, მათ შორის სანქციაც მისი დაკავების შესახებ, სასამართლოში გაასაჩივრებინოს.

— რა როლს ასრულებს პროკურატურა კორუფციასთან ბრძოლაში?

— თავდაპირველად მინდა მოვახსენოთ თავად კორუფციაზე. მას ხშირად მექრთამეობით შემოფარგლავენ, რაც არასწორია, კორუფცია არის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამდენად კორუფციაზე კონტროლი არ შეიძლება დაეკისროს მხოლოდ პროკურატურას. იგი უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო მანქანის ყველა რგოლში, პარლამენტიდან დაწყებული, თუმცა პროკურატურა მაინც მთავარი ორგანო უნდა იყოს. ამ მხრივ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სახელმწიფო მოსამსახურის საქმიანობა ერთგვარად შეზღუდულია — მას აკრძალული აქვს სამეწარმეო საქმიანობა. არანორმალურია ჩვენში გავრცელებული მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფო მოხელე ამავე დროს კერძო მეწარმეა, მაგალითად, რაიმე უწყების დირექტორი და იმავდროულად ფირმის ხელმძღვანელიც. ეს არის სოციალური უსამართლობის უდიდესი წყარო, რადგანაც ჩნდება ადვილად და უკანონოდ გამდიდრების თითქმის შეუზღუდავი საშუალება. ამას აუცილებლად უნდა არეგულირებდეს კანონი სახელმწიფო მოხელეთა შესახებ. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემთხვევები, როდის აქვთ ნათესავებს ერთ სისტემაში მუშაობის უფლება და როდის — არა. მსოფლიოში გავრცელებულია პრაქტიკა მაღალ თანამდებობაზე პიროვნების დანიშვნის წინ მისი ქონებისა და შემოსავლის გამოქვეყნებისა. ხოლო მისი მუშაობის პერიოდში ასეთი მონაცემები, გადასახადების ანგარიშთან ერთად, რეგულარულად ქვეყნდება. ასეთ კანონს ჩვენ პარლამენტს მალე წარვუდგენთ, ხოლო სექტემბრისათვის მზად გვქნება სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონპროექტების მთელი პაკეტი.

— როგორ აწარმოებს პროკურატურა ზედამხედველობას ტყეთსარგებლობასა და საერთოდ ეკოლოგიურ დანაშაულზე?

— ამ მხრივ არსებობს უპირველესად უწყებრივი კონტროლი. ყოველი კონკრეტული ფაქტი თავდაპირველად სწორედ მათ მიერ იხილება. მხოლოდ შემდეგ, თუკი ამის საჭიროება იქნება, საქმეში უნდა ჩაერთოს ჩვენი უწყება. წინათ ჩვენ სისტემაში გვქონდა ეკოპროკურატურა, რომელსაც უშუალოდ ამ პრობლემატიკასთან ჰქონდა საქმე. ორი წლის წინ იგი გაუქმდა და ეკოლოგიის საკითხებიც ჩვეულებრივ პროკურორს ჩაბარდა. ახლა გთხოვთ წარმოიდგინოთ მისი მდგომარეობა: როგორ შეძლებს იგი დიდი ყურადღება დაუთმოს ბუნებათსარგებლობის პრობლემებს, როდესაც რესპუბლიკაში კვირაში საშუალოდ ოცდაორი მხოლოდ მკვლელობა ხდება. ჩემი აზრით, საჭიროა ძველი სტრუქტურის — ეკოპროკურატურის აღდგენა, მაგრამ სპეციალიზებული პროკურატურების შექმნა ჩვენ დღესდღეობით კანონით გვკრძალება. ვფიქრობ, ეს კანონი გადასასინჯია.

— ბატონო თედო, არსებობს კანონი დეპუტატების მიერ თანამდებობის შეთავსების შესახებ, მაგრამ იგი ხშირ შემთხვევაში ირღვევა?

—რაც შეეხება შეთავსებას, ეს პრობლემა სხვადასხვანაირად წყდება. ზოგიერთ ყვეყანაში, მაგალითად ინგლისში, რამდენადაც ვიცი, ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. დეპუტატისა და მინისტრის საქმიანობის შეთავსების შეზღუდვას არ ცნობდა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაც.

შეზღუდვის მიზანი ისაა, რომ არ მოხდეს წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებათა უზურპაცია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ამ პრინციპის უხეშ დარღვევასთან ჩვენ საქმე არ უნდა გვქონდეს. მე უხეშ დარღვევად არ მიმაჩნია ორიოდ გამონაკლისი ჩვენს პირობებში. სხვა შემთხვევებს რაც შეეხება, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო მზად არ არის პარლამენტის ერთიანად პარტიულობის პრინციპით არჩევისათვის. ჩვეულებრივ კვლავაც დიდ როლს ითამაშებენ არა პარტიები, არამედ ინდივიდები.

—რას იტყვით პრკურატურის კადრებით დაკომპლექტებაზე.

—საქართველოს პროკურატურას ისეთი მუშაკები ჰყავს, როგორიცაა ჩვენი ხალხი. ჩვენთან, ისე როგორც ყველა სხვა უწყებაში, არიან მეტად და ნაკლებად ღირსეული ადამიანები, ცხადია არიან ულირსებიც. ისე როგორც ყველგან. ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საშუალო ხელფასი 10—12 ათასი კუპონია, როცა ერთი ქათამი 22 ათასი ღირს. არის უსაფუძვლოდ გამდიდრების ცდუნება და ზოგჯერ რეალური შანსი, რასაც ალბათ იოლად ვერ თმობენ. მთავარი ისაა, რომ მუშაკების საკმაო ნაწილს აქვს შეურიგებელი დამოკიდებულება კორუპციის და მომხვეჭელობის მიმართ.

გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია პროკურატურის და საერთოდ, სამართალდაცვის ორგანოების რეალური დეპარტიზაცია. ამ ორგანოების ყველა მუშაკს უნდა ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ მომავალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაში ობიექტური, მიუკერძოებელი საქმიანობისათვის პასუხს არ აგებინებს. სხვაგვარად, ჩვენთან ზედეტება ლაპარაკი სახელმწიფოებრიობაზე. მე პროკურატურა არ დამიყვია ამა თუ იმ პოლიტიკური მიმართულების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ვაჟა ამაკელია, რომალიც წინა ხელისუფლებაში გენერალური პროკურორი იყო, რაიონის პროკურორად დავნიშნე. ჯერ ერთი, მე მას პირველ კურსიდანვე ვიცნობ, თანაკურსელები ვართ და მეორე, მისი მუშაობის პერიოდში, რამდენადაც ვიცი, ისეთი არაფერი ჩადენილა, რომ კმეშეურად დარჩენილიყო.

[illegible] ეს თუ არა რაიმე სიახლე თბილისის პროკურორის [illegible] ქურდების მკვლელობის გამოძიებაში?

როგორც საზოგადოებისათვის ცნ[illegible]

ბილია, ამ საქმეზე მუშაობს საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების მუშაკების დიდი ჯგუფი, რომლის საერთო ხელმძღვანელია გამოცდილი, მაღალკვალიფიციური გამომძიებელი, გენერალური პროკურორის მოადგილე ბ-ნი რევაზ ყიფიანი. არის სერიოზული ეჭვისები, არის სამხილებიც. მოკლედ გამოძიება მიმდინარეობს, დარწმუნებული ვართ სიმართლე დადგინდება. ეს არა მხოლოდ პროკურატურის, არამედ პოლიციის, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურების ღირსების საქმეა.

— ბატონო თედო, განიცდით თუ არა რაიმე ზეწოლას?

— რა თქმა უნდა. ეს უპირველესად ქაღალდების ზეწოლაა. რეზოლუციების დადებასაც კი ვერ ავუდივარ...

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეებზე ზეწოლას, არც უამისობაა. ამიტომაა ალბათ, რომ ეგრძნობ, საყოველთაო მხარდაჭერა, რომელიც ჩემი დამტკიცებისას პარლამენტში ვიგრძენი, ბოლო დროს ცოტა მინელდა...

— ბატონო თედო, თქვენ ახალგაზრდობაში წერდით...

— ახალგაზრდობაში მართლაც ვსწავლობდი სცენარისტების კურსებზე, ისე კი ორი პიესა, ჩემს მიერ სათარგმნი, დაიდგა კიდეც. ხუთი წლის წინათ ვთარგმნე სახელმძღვანელო იურისპრუდენციაში, რომლის გამოცემაც მხოლოდ ახლა მოხერხდა. თუ კიდევ ორიოდ სახელმძღვანელოს თარგმნას მოვახერხებ, ბედნიერი ვიქნები.

—ამას წინათ პროგრამა „ალიონში" თქვენ გკითხეს: „პრესა მეოთხე ხელისუფლებაა, პროკურატურა ტომელიღაო?"

—საპროკურორო ზედამხედველობა არის სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელი სახე.

ის, რომ პრესას მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, მხოლოდ მეტაფორაა, რაც გულისხმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდ პოტენციურ შესაძლებლობას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით. სახელმწიფო ხელისუფლება კი ორგანიზებული იძულების უნარს გულისხმობს, რაც სახელმწიფოს თვისებაა.

ხელისუფლებათა ტრიადა, რომელიც პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ჯონ ლოკმა და შარლ მონტესკიემ შემოიტანეს, ცოტა მოძველდა. ისინი ებრძოდნენ აბსოლუტურ მონარქიას და ითხოვდნენ მეფეს ჩამორთმეოდა კანონმდებლისა და უმაღლესი მოსამართლის ფუნქციები.

გასულ საუკუნეში ხელისუფლებათა დანაწილების თეორიას აკრიტიკებდა ცნობილი სახელმწიფო მცოდნე გეორგ ელინეკი. უფრო ადრე — რუსო. არც თუ უსაფუძვლოდ ეს თეორია კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში შეიქმნა, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, თუმცა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, მაგრამ ამასთან განიცადა ერთგვარი მეტამორფოზაც.

მაგალითად, მექსიკის კონსტიტუცია სამ ხელისუფლებასთან ერთად ლაპარაკობს დამოუკიდებელ საარჩევნო ხელისუფლებაზეც. რუსეთში და სხვა ქვეყნებში ლაპარაკობენ საკონტროლო ხელისუფლებაზეც, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებაზე, ასევეა საპროკურორო ზედამხედველობაც. ბევრ ქვეყანაში მართლა არ არის პროკურატურა, მაგრამ არის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მსგავს ფუნქციებს ასრულებენ, მაგალითად, ომბუტსმენები.

— გადაისინჯა თუ არა საქართველოს ბანკიდან ფულის გატაცების საქმე, რომელიც ყოფილი ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს ბრალდებოდათ და რამდენად სამართლიანი იყო გურამ აბსანძის ან დეჭერა, ან გამოშვება?

— მართალი გითხრათ, ეს გადაწყვეტილებები მე არ გადამისინჯავს, ამიტომ მათ სისწორეზე ვერაფერს მოგახსენებთ. საამისოდ აუცილებელია, ვინმემ შეძიტანოს ოფიციალური საჩივარი. ამ საქმეში ეჭვმიტანილთაგან კი განთავისუფლების შემდეგ საჩივარი არავისგან მიგვიღია. ისინი განთავისუფლდნენ მანიფესტით, რომლის ტექსტიც მე დავწერე, სახელმწიფოს მეთაურის დავალებით. როდესაც კაცს მანიფესტით ათავისუფლებ, მან შეიძლება საქმის ბოლომდე მიყვანა მოითხოვოს, რათა დამტკიცდეს მისი უბრალოება და იგი საზოგადოების თვალში გამართლდეს. მაგრამ ასეთი საჩივარი, ვიმეორებ, არავისგან შემოსულა. ამდენად ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი მე არ მქონია.

— რას იტყვით სამხედრო პროკურატურის ფუნქციონირებაზე?

— სამხედრო პროკურატურა რესპუბლიკური პროკურატურის ერთ-ერთი ქვეგანყოფილებაა, მის სტრუქტურაში შედის და მასზე ჩემი საერთო კონტროლი ისევე ვრცელდება, როგორც სხვებზე. სამხედრო პროკურორი გენერალური პროკურორის მოადგილეა. მის დადგენილებებს ეს უკანასკნელი აუქმებს, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს. მისი აპარატი ნაწილობრივ უკვე ჩამოყალიბებულია, ზოგან რაიონული სამხედრო პროკურატურებიც კი გვაქვს შექმნილი, მაგრამ შენობის არქონის მიზეზით ფორმირების ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

— სწორია სამართალდარღვევები „მხედრიონისა" და სხვა სამხედრო ფორმირების წევრთა მხრიდან...

— „მხედრიონი" არ განიხილება როგორც სამხედრო ფორმირება და არ შედის ერთიანი სამხედრო ძალების შემადგენლობაში. ამიტომ მხედრიონელი, თუკი იგი დანაშაულს ჩაიდენს, სამხედრო დანაშაულის სუბიექტი არ არის. იგი ჩვეულებრივი დამნაშავეა. თუკი მათი ჩამოყალიბება მოხდება, როგორც მაშველთა კორპუსისა, მითუმეტეს არ განიხილებან როგორც სამხედრო მოსამსახურეები და მათზე სამხედრო პროკურატურის იურისდიქცია არ ვრცელდება...

— საქართველოს საგარეო ბანკმა ერთი პერიოდით სრულებით გაყინა ვალუტა და არ აწარმოებდა მის გაცემას კანონიერ მფლობელებზე. ჰქონდა თუ არა ამის უფლება?

— ეს არის ქონებრივი ურთიერთობების დარღვევა და მას ქონებრივი სანქციები უნდა მოყვეს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს სანქცია, რომელიც მას დაეკისრება ფულის გაყინვის შემთხვევაში — არბიტრაჟისა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს პროკურატურის უშუალო კომპეტენციაში არ შემოდის და როგორც ზემოთ ვთქვი, თავდაპირველად სხვა ორგანოების განხილვის საგანი უნდა გახდეს.

— ბატონო თედო, ეკონომიკის მთელ რიგ სფეროებში შეიმჩნევა მონოპოლიზაციის საშიში გავრცელება. ეს უპირველესად ნავთობპროდუქტებით მომარაგებასა და ბაზარში ვაჭრობას ეხება. პირთა ერთმა ჯგუფმა ხელთ იგდო კონტროლი ამ დარგებზე და თავისი სურვილისამებრ გვკარნახობს ფასებს. ამას მოჰყვა კუპონის გაუფასურებაც. რამდენად შედის ეს პროკურატურის კომპეტენციაში?

— საქართველოში არ იყო ჯერ მიღებული კანონი საკუთრების შესახებ, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი გაკოტრების წინააღმდეგ. ეს სრულებით უპრეცედენტო ფაქტია. ასევე არ გვქონია კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, როდესაც მივიღეთ კანონი ანტიმონოპოლური საქმიანობის შესახებ.

რუსეთში სხვაგვარად მოიქცნენ: საგანგებოდ შექმნეს ანტიმონოპოლური კომიტეტი. ასეთი პრაქტიკა საზღვარგარეთაც მიღებულია, მაგრამ ჩვენში, ეტყობა, ვიღაცეებმა არ ისურვეს შელეოდნენ ძველ გავლენას. ყველა შემთხვევაში, ასეთ კონტროლს მთავრობა, მისი რომელიმე რგოლი უნდა ახორციელებდეს. პროკურატურა ამ საქმიანობაში ჯერჯერობით არ ჩარეულა, ამის მიზეზი ისიცაა, რომ საკმარისია, მაგალითად, ბენზინის შემოტანა — გავრცელება შევისწავლოთ, რომ ამან შესაძლებელია დღევანდელ პოლიტიკაში სხვა მნიშვნელოვანი რგოლების რღვევა გამოიწვიოს. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, რომ სათანადო კანონი არსებობს და უნდა მუშაობდეს.

— საქართველოში მომხდარი დივერსიებიდან, რამდენადაც საზოგადოებისათვის ცნობილია, მხოლოდ ერთია გამოძიებული — აფეთქება ჩიქოვანის ქუჩაზე. ამავე დროს, დასავლეთ საქართველოში ხდება ამ ტიპის მრავალი ისეთი დანაშაული, რომლის გამოძიების მსვლელობაცა და დასრულებაც უცნობია.

— დივერსიებს რაც შეეხება, მათი დიდი ნაწილი მართლაც გაუხსნელია. მაგრამ თავიდანვე მინდა ხინთლე შევეტანო ამ საკითხში — იმ რეგიონებში, სადაც დღევანდელი ხელისუფლების გავლენა ძლიერია, ბევრი ფაქტია გამოძიებული. იქ კი, სადაც ეს გავლენა მაინცადამაინც არ იგრძნობა, მაგალითად დასავლეთ საქართველოში, სურათი გაცილებით უარესია. თავისთავად ეს სფერო კი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს ეხება. მათ საამისოდ აქვთ სპეციალური საგამოძიებო სამმართველო. მე ერთ ფაქტს მოგახსენებთ — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში გააჩერეს და გაძარცვეს ხორბლით დატვირთული უზარმაზარი სარკინიგზო შემადგენლობა. ჩვენ იქ ორი გამომძიებელი გავგზავნეთ. მათ ადგილობრივი მილიციის თანამშრომლები წაყვნენ და ადგილზე ჩავიდნენ. მაგრამ როგორც კი დაიწყეს დათვალიერება, გამოვარდა მოსახლეობა, სცემა მილიციელები და იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მთელი თვის განმავლობაში საავადმყოფოდან ვერ გამოვიდნენ. გამოძიება ფორმალურად დღესაც გრძელდება, მაგრამ ჩვენ იქ არანაირი ზემოქმედების მექანიზმები არ გაგვაჩნია. მოსახლეობაში დაგროვილია უამრავი რაოდენობით ნაძარცვი — შეხვალ ერთგან და მთელი ოთახი მოპარული ველოსიპედებითაა სავსე, მეორეგან — ფქვილით და ასე შემდეგ. ეს მეტად მტკივნეული პრობლემებია და მათ გადაჭრას დიდი ძალა სჭირდება. ზოგ შემთხვევაში მოხდა კიდეც ძალის გამოყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაკორექტულად. არა ისე, როგორც ეს სამართლებრივ სახელმწიფოს ეკადრებოდა. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში სამართალდამცავი ორგანოები მოწოდების სიმაღლეზე ვერ იქნებიან.

არალეგალური გადასვლა:

პრეზიდენტობისა და მიმდინარეობის დროს დარბაზში შემოვიდა სბურთალოს რაიონის 123-ე სკოლის დირექტორი კარლო ბარდაველიძე, რომელიც, გაზეთ „საქართველოს" რედაქტორთან ერთად, ასევე ... მოსულ. სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა გენერალურ პროკურორთან შეხვედრაზე. მისი გასაჭირი კი შემდეგში მდგომარეობდა — იმ დილას მასთან კაბინეტში შევიდა ორი შეიარაღებული პირი, რომლებმაც უთხრეს, მილიციიდან ვართო, ესროლეს ფეხებში, წართვეს მანქანის გასაღები, რომელიც მინდობილობით ჰქონდა, შემდეგ შენობა გარედან დაცხრილეს, მანქანა წაიყვანეს და მიიმალნენ.

ერთი საყურადღებო მომენტი — რამოდენიმე თვის წინ მამამისსაც წართვეს პირადი ავტომანქანა ვითომ იმ მოტივით, რომ იგი ზვიად გამსახურდიას მძახალია (ეს მართლაც ასეა). ბატონმა კარლომ თედო ნინიძეს დაცვა და საქმეში გარკვევა სთხოვა. გენერალურმა პროკურორმა აღუთქვა, რომ იმავე დღეს დაუკავშირდებოდა შინაგან საქმეთა ქალაქის სამმართველოს, მაგრამ მანქანის დაბრუნების საკითხში დიდი ოპტიმიზმი არ გამოუთქვამს.

— კოლხეთ-კოშკის დაწვის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას არქივის შესანახად გამოიყო სპეციალური კომისია გურამ შარაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ მისი წევრები ძირითადი სამსახურიდან მალე დაფხვილი იქნენ. როგორია ამ არქივის შემდგომი ბედი?

— ხანძარი მოხდა იმ პერიოდში, როდესაც გენერალური პროკურორი მე არ ვიყავი. მე დანიშვნის შემდეგ მოვიკითხე სათანადო მასალები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროკურატურა გამოძიებას აღარ აწარმოებდა და კონკრეტული გარემოებების დადგენ იმ სპეციალურ კომისიას ევალა. მისმა წევრებმა მოგვმართეს ჩვენ, მაგრამ მე ვურჩიე თავისი შრომითი უფლებები სასამართლოში დაეცვათ.

— ბატონო თედო, პროკურატურას აქვს თუ არა კანონით განსაზღვრული ვადა საქმის წარმოებისა?

— რა თქმა უნდა. ეს ვადა ორი თვეა. ამ პერიოდის შემდეგ ერთი თვით ვადას აგრძელებს პროკურორი თავისი სანქციით, სამი თვის შემდეგ ვადას აგრძელებს ზემდგომი პროკურორი, ხოლო გენერალურ პროკურორს უფლება აქვს გამოძიება გაახანგრძლივოს ცხრა თვედან ზემოთ. ეს უფლება გამოიყენება განსაკუთრებით რთული საქმეების გახსნის პერიოდში. თერმეტი თვის შემდეგ მე უნდა მივიღო გადაწყვეტილება საქმის გაგრძელების ან არგაგრძელების შესახებ.

— შარშანდელი 24 ოქტომბრის ამბებს თუ აქვთ რაიმე საერთო სამეგრელოს რეგიონში მომხდარი მოვლენების შემსწავლელ კომისიასთან?

— იმ მოვლენების ყველა მონაწილე განთავისუფლებულია მანიფესტით და საქმეც ამიტომ შეწყვეტილია.

— რა მომავალი აქვს პროკურატურის სისტემაში საგამოძიებო აპარატის არსებობას?

— მეტად სერიოზული კითხვაა. მასზე ვრცელი პასუხის გაცემა საჭირო, მაგრამ ამის შესაძლებლობა აქ არ არის. რუსეთი ასე მოიქცა — ყველა საგამოძიებო სტრუქტურა ერთ კომიტეტში გაერთიანა, მაგრამ იგი ჯერჯერობით ვერ აამუშავა. რა შედეგს მივიღებთ საქართველოში ასეთი უწყების შექმნით? გამოძიებაზე ზედამხედველობა მაინც პროკურატურამ უნდა აწარმოოს, ხოლო ახალი სტრუქტურის შექმნას არა მარტო კოლოსალური ორგანიზაციული მუშაობა, არამედ უდიდესი მატერიალური ხარჯები სჭირდება. იგი საკითხს მაინც ვერ გადაწყვეტს. პრობლემა კი მხოლოდ სათანადო კადრებშია. ისინი რომ გვყავდეს, დღევანდელ სტრუქტურაშიც საკმაოდ შესაძლებელია მუშაობის დონის საგრძნობი ამაღლება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც ერთ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, და მათ შორის არც იურისპრუდენციაში, ჩვენ არ გვაქვს ორიგინალური სახელმძღვანელო. ორიგინალს რომ თავი დავანებოთ, ევროპული დონის ნათარგმნი სახელმძღვანელებიც კი არ გვაქვს. იცით რამე ჩვენი კრიმინალისტური ტექნიკის შესახებ? გაგეცინებათ, მაგრამ გამომძიებელი, რომ დასჭირდეს, კალოშის კვალსაც ვერ აიღებს. ელემენტარული ბაზა გვაკლია, არათუ ახალი უზარმაზარი უწყებები.

გამოძიება ჩვენი აქილევსის ქუსლია. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები არის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც და საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროშიც. გამოძიებისა და, საერთოდ, მთელი იურისპრუდენციის დონის ამაღლება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ევოლუციურად უნდა განვითარდეს. ქვეყნებმა, სადაც აქცენტი სოციალურ სისტემებს შორის კომპრომისზე იქნა გაკეთებული, ისტორიულად მოიგეს. თანდათანობით დახვეწა-განვითარება ყველა სფეროში უმჯობესია.

ავიღოთ თუნდაც მომავალი კონსტიტუცია. არც იგი იქნება საბოლოო და სრულყოფილი, საფრანგეთმა, მაგალითად, რამდენჯერმე შეცვალა თავისი კონსტიტუცია, ვიდრე დღევანდელ ფორამდე მივიდოდა. წერილობითი სახით ინგლისში იგი საერთოდ არ არსებობს, მაგრამ იქ არის გარკვეული ტრადიცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. მაგრამ რა კონსტიტუციაზეა ლაპარაკი, როდესაც აფხაზეთში ომი მიდის და ჩვენ არ ვიცით, შეეძლებთ თუ არა მათთან საერთო ენის გამონახვას, არ ვიცით, შემოვა თუ არა ჩვენთან და იქნება თუ არა ერთი დიდი რეგიონი საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი.

ამგვარად, არც სასამართლო რეფორმის სრულყოფილად ჩატარებაა შესაძლებელი დღევანდელი ომის პირობებში. ზოგიერთ რეგიონში ადგილობრივი პროკურორის დანიშვნაც კი ჭირს, რადგან ისი შემდეგ სანქციასაც ვერ გასცემს. მითუმეტეს, ვინ მოგვცემს ჩვენ ნაფიც მსაჯულთა პატიოსნებისა და მეუკერძოებლობის გარანტიას? ამიტომაც ღღეს და ხვალ მიღებული ბევრი აქტი, და მათ შორის, კონსტიტუციაც, დროებითი იქნება და ამის არ უნდა შეგეშინდეს.

— ბატონო თედო, ვინ შეაფასებს დეკემბერ-იანვრის მოვლენებს და რეალურად ვინ დიცავს საქართველოში ადამიანის უფლებებს?

— დეკემბერ-იანვრის მოვლენებს შეაფასებს ისტორია. როგორ, ამას ვერ ვიტყვით. ეს ხელისუფლება, მართალია არჩევნების შედეგად მოვიდა, მაგრამ თავად ის არჩევნები იმ ძალების მიერ იყო დანიშნული, რომლებმაც ძალაუფლება დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად იგდეს ხელთ. მაგრამ ვინ შეაფასა, მაგალითად, საფრანგეთის რევოლუცია? თუკი პარლამენტში დადგება საკითხი იმის თაობაზე, რომ ეს იყო არა სახალხო აჯანყება, არამედ სამხედრო გადატრიალება, ამ უკანასკნელს კონკრეტული სუბიექტები ყავს. ჯერჯერობით მათი შეფასების სოციალური მოთხოვნა არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში არიან ძალები, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების ელიტაში შედიოდნენ.

მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს არის დიდი იმპერიის ნგრევის ანგრძლივი პროცესის ერთი ეპიზოდი, ამიტომ მისი ცალსახად შეფასება შეუძლებელია.

ჩაიწერა
თენგიზ გოგოტიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ, ქართველი ნაციონალისტები“...



ერის სიტყვები, რომლებიც, ადამიანთა მსგავსად, კომუნისტური რეჟიმის დროს, დისიდენტებად იქცნენ. მათ სდევნიდნენ სამოცდაათი წლის მანძილზე — გულმოდგინედ ჩხრეკდნენ. ერთ-ერთი ასეთი სიტყვა გახლდათ „ნაციონალისტი“. ეს იყო სალანძღავი ტერმინი, პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა რომ იყენებდა ყველა იმაში მიმართ, ვინც პატრიოტულ ტალღაზე ცოტა ხნით მაინც გადაერთვებოდა, ვინც ელემენტარულად მაინც გამოხატავდა უკმაყოფილებას თავისი სამშობლოს მასობრივი, ძალისმიერი ხერხებით ინტერნაციონალიზაციის გამო.

და აი, აზვირთდა ეროვნულგა[ნ]თავისუფლებელი მოძრაობის ტალღა და სიტყვა ნაციონალისტმაც ძველი ელერადობა დაიბრუნა, თუმცა აქა-იქ, ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ გაუთვითცნობირებლად ადგილი აქვს მისი მნიშვნელობის დეფორმაციას, მაშინ, როდესაც იგი არ არის ის, რაც ქართულ ბუნებას — ჭეშმარიტ სტუმართმოყვარეობას, ტოლერანტობას ეწინააღმდეგება.

განსხვავებულია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება „ქართული რენესანსის“-კავშირის (ქართველ ნაციონალისტთა ერთობის) მიმართაც. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები, რომელთა შორისაც, ძირითადად, ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილია, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ერის მთლიანობისა და სულიერი სისუფთავისათვის. ჯერ, მართალია, ამ საქმიანობას უპირატესად ახსნა-განმარტებითი ხასიათი აქვს, მაგრამ „ქართული რენესანსის“ კავშირის ამოცანები, მის ბოლო ყრილობაზე რომ განცხადდა, გვაიძულებს მოვუსმინოთ და ანგარიში გავუწიოთ ამ ახალგაზრდებს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია „ქართული რენესანსის“ კავშირის (ქართველ ნაციონალისტთა ერთობის) თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე ჭიჭინაძე.

— ბატონო კონსტანტინე, რამ განაპირობა თქვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბება?

— ჩვენ, ქართველი ნაციონალისტები, მტკივნეულად აღვიქვამთ ყველა იმ პროცესებს, რომლებიც ქართული ერის დეგრადაციისა და მისი ერთიანობის შესუსტებას იწვევს. იმიტომ ჩამოვყალიბდით, რომ დაგვეცვა ჩვენი ერის ცნობიერებაჰსა და ყოფიერებაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც ძირს უთხრიან ქართველთა ტრადიციული ცხოვრებისა და აზროვნების წესს.

უცხოური კულტურის ექსპანსიას საქართველოში დამანგრეველი შედეგები მოაქვს.

ჩვენს საზოგადოებაში ბატონდება დასავლეთისადმი ქედის მოხრის კულტი. ამიტომაც მკვეთრად იმატა საქართველოდან ქართველების „ეკონომიკურმა“ ემიგრაციამ, რაც საერთოდ არ ყოფილა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. ადგილი აქვს ყოველივე დასავლურის მოწონებასა და განდიდებას, ეროვნულის დაცინვასა და იგნორირებას. ასე იქმნება საზოგადოებაში საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსი. „კომპლექსებისაგან განთავისუფლება“ — ყოველგვარი უზნეობისა და დეგრადაციის სიმბოლო — „ელიტარულ“ წრეებში მოდურ ტერმინად იქცა.

• ჩვენ, ნაციონალისტები კი ვაპირებთ ჩვენს ერში აღმოვფხვრათ დასავლური აზროვნებისა და ცხოვრების წესი, ყოველივე უცხოურისათვის ქედის მოხრა. ქართული ნაციონალიზმი ხომ ქართველი ერის ეროვნული ინტერესების უზენაესობას გულისხმობს ყველა სხვა ინტერესებთან (ფენობრივ, კლასობრივ, ინდივიდის, სხვა ერების) შედარებით, ხოლო ეროვნული ინტერესები უპირველეს ყოვლისა ერრვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მდგომარეობს. ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობა ერის, როგორც გარკვეული ეთნო — სოციალური ერთეულის გაქრობას ნიშნავს.

— როგორ გესახებათ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა?

— უპირველეს ყოვლისა საჭიროა ისეთი სახელმწიფო სამსახურის შექმნა, რომელიც კონტროლს გაუწევდა საზღვარგარეთიდან შემოსულ კულტურულ პროდუქციას, დაახარისხებდა მას ჩვენი ეროვნული ცნობიერებისათვის მისაღებ და მიუღებელ პროდუქციად.

ხშირად ნაციონალიზმს ფაშიზმთან აიგივებენ, რამდენად მართალია ეს აზრი?

— ნაციონალიზმი და ფაშიზმი სულ სხვადასხვა ცნებებია. უნდა ვთქვათ, რომ ფაშიზმში არის ნაციონალისტური მომენტები, მაგრამ ისინი არ ამოწურავენ მის არსს. მაგალითად, ფაშისტური და ნაცისტური იდეოლოგიების აუცილებელი შემადგენელი ელემენტია წარმოდგენა ადამიანთა ბუნებრივი უთანასწორობის შესახებ. ეს ეხება როგორც ერებს, ასევე ერთი ერის ადამიანებსაც, ამ იდეოლოგიებში მთელი ცხოვრება გაიაზრება, როგორც არსებობისათვის ბრძოლა — სადაც ძლიერი იმარჯვებს და უნდა გაიმარჯვოს კიდეც, ხოლო სუსტი კი იჩაგრება და უნდა დაიჩაგროს კიდეც) ე.ი. დაფიქსირებულია პრინციპი: ადამიანი ადამიანისათვის მგელია. ამ შიშველი სოციალ-დარვინიზმითა და ელიტარიზმით (რაც აბსოლუტურად უცხოა ნაციონალიზმისათვის) ისინი უახლოვდებიან ლიბერალიზმს, რადგანაც ამ უკანასკნელის იდეოლოგიური სტრუქტურის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს ანტიეგალიტარიზმი— ადამიანთა ბუნებრივი უთანასწორობის იდეა, სწორედ ამ აზრით ლაპარაკობდა ფაშიზმის იტალიელი თეორეტიკოსი ჯენტილე ფაშიზმზე, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ ლიბერალიზმზე, ისე, რომ ლიბერალიზმისა და ფაშიზმის გარკვეული პრინციპების სიახლოვე არავის აძლევს უფლებას გააიგივოს ისინი ერთმანეთთან. იგივე უნდა ვთქვათ ნაციონალიზმსა და ფაშიზმზეც, მითუმეტეს რომ ფაშიზმი და ნაციზმი ექსპანსიონიზმის შემცველი იდეოლოგიებია, ხოლო ქართული ნაციონალიზმი — თავდაცვითი რეაქცია უცხოეთის ბატონობაზე. ნაციზმი უსამართლო და ანტიჰუმანური იდეოლოგიაა, იგი არაფრად აგდებს როგორც სხვა ერების, ასევე საკუთარი ერის წარმომადგენელთა სიცოცხლეს. ერთადერთი ფორმა, რომელითაც მას შეუძლია არსებობა, არის ტოტალიტარიზმი, ხოლო ნაციონალიზმისათვის ეს უცხოა. ჩვენს ნაციონალიზმში სახელმწიფოებრივი მოწყობა გაიაზრება ტრადიციული სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამომდინარე, ამიტომ ადამიანსაც აქ უფრო დიდი ფასი აქვს.

სამწუხაროდ, დღეს ბევრთაგან საკუთარი ერის ინტერესების დაცვას ნაციზმად ნათლავენ. ასე ჩვენს მოთხოვნას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა, საერთოდ ყველა ის საკითხები, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის გადასწყვეტი იყოს, ვინმემ შეიძლება ფაშისტური უწოდოს, მაგრამ ეს ასე არ არის. საერთაშორისო სამართლის მიხედვით (როგორც ამას გერმანელი სპეციალისტი ეგილ ლევიტი აშუქებს) გარკვეული ტერიტორიის თვითგამორკვევაზე პლებისციტში უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ავტოქტონური მოსახლეობის წარმომადგენლებმა. ე.ი. ქვეყნის სტატუსი შეიძლება მათ გადაწყვიტონ, მაშინ რატომ არ შეიძლება ჩვენ იგივე ვთქვათ სახელმწიფოს შიდა მოწყობაზე?

ისე კი აჯობებდა, საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან პარტიებს საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესების ნაცვლად ქართველი ერის ინტერესები დაეცვათ.

ესაუბრა
იულონ ტოლიაშვილი

ჩვენ მოსაგებ პარტიას ვთამაშობთ

(დასასრული)

დიდმა საფრთხემ არ შეიძლება არ გააერთიანოს ყველა სტატუსისა და პოლიტიკური პოზიციის ქართველობა.

მე ორ ივლისს ჩავედი ოჩამჩირეში. სენაკიდან ბატონ თენგიზ კოტოვანთან ერთად ვიმგზავრე. იმავე დღეს შევხვდი ბატონ ლოთი ქობალიასა და მისი რაზმის წევრებს, რომელთა უპატესობას ვიცნობდი. ორი დღე რაც იქ დავყავი, მოწმე ვიყავი ბატონ ვაბა იოსელიანისა და ბატონ ლოთი ქობალიას საუბრებისა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ შორის არავითარი დაძაბულობა არ ყოფილა. მათი საუბრის ლაიტმოტივი გახლდათ საფრთხე, რომელიც გვეუქრება და ის კონკრეტული ღონისძიებები, რაც უნდა გატარდეს საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება ირაკლი წერეთლის მიერ წაკითხულ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების განცხადებას, მასში გამოთქმული შიში ყოველივე იმის შემდეგ, რაც ოჩამჩირეში ვნახე, დაუჯერებლად მეჩვენება. სწორედ ამიტომ ავლენიშნე სესიაზე, რომ ფრონტზე ყოველთვის უნდა ტრიალებდნენ პარლამენტარები, რათა თავისი ობიექტური ინფორმაციებით შეაცვლინ ჭორებისაგან დაგვიცვან.

— ბატონო ნოდარ, თქვენ არაერთხელ ყოფილხართ აფხაზეთში ფრონტის ხაზზე. ადრე არაერთხელ ითქვა, რომ ჩვენს ბრძოლებს აკლდა საერთო ხელმძღვანელობა, იგი ერთგვაროვად ქაოტურ ხასიათს ატარებდა. თქვენი ბოლო ჩასვლის დროს ამ მხრივ რაიმე სახეცვლილება თუ შეამჩნიეთ?

— მე სამხედრო არა ვარ და თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემის უფლებაც არა მაქვს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვთქვა, რომ ამ მხრივ საქმე ძველებურად აღარ არის.

— ბატონო ნოდარ, სანამ ჩვენი გაზეთი გამოვა, ალბათ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ბევრი საკითხი ახლებურად გადაწყდება, მაგრამ თქვენი პროგნოზი მაინც საინტერესო იქნება ტოკიოში გამართულ „შვიდეულისა“ და ელცინს შორის.

— პროგნოზი, მოგეხსენებათ, უმადური საქმეა, მითუმეტეს როცა ინფორმაციით შეზღუდული ხარ. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რა პოზიცია დაიკავეს საქართველოს მიმართ, მაგრამ ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ დასავლეთის სადღესო ინტერესია, რუსეთმა თავისი დამანგრეველი ბირთვული არსენალი დათმოს, რაღა თქმა უნდა, დასავლეთის ანალოგიური მოქმედების სახლაურად. თუ დასავლეთი დარწმუნდა ამ სურვილის რეალობაში, იგი სანაცვლოდ გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს მაგრამ არ გასცილდება ეკონომიკურ დახმარებას და იმას, რომ სამაგიეროდ რუსეთმა კავკასიაში თავისი გავლენა აღიდგინოს. საბჭოთა კავშირის დაშლა, კერძოდ კი ამიერკავკასიიდან რუსეთის, როგორც განსაზღვრელი ძალის მოცილება, ოურისტების ენაზე რომ ვთქვათ, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. რუსეთის შეურვეობა ამიერკავკასიაზე აღარ მოხდება.

დასავლეთი დაეხმარება რუსეთს იმ ზომამდე რაც მის მატერიალურ კეთილდღეობას განამტკიცებს, რაია გაქირვებისაგან გამწარებულმა მოქალაქეებმა თავისი მორალური კომპენსაცია სამხედრო წარმატებებში არ ეძებონ. ვიმეორებ, ტოკიოში რუსეთი მიიღებს მრავალნაირ ეკონომიკურ დახმარებას, მაგრამ სამაგიეროდ აღარც ერთ ნაბიჯს არ გადადგმევინებენ იმპერიის აღორძინებისთვის.

— როგორ აისახება ყველაფერი ეს აფხაზურ კონფლიქტზე და რას ფიქრობთ გაეროს როლზე მის მოსაგვარებლად?

— დღეს, და არა მარტო დღეს, ნათელია, რომ აფხაზეთში რუსეთი გვეომება. ამ ომის ინსპირატორის მიზანი ჩვენი დაოქმაა. ტოკიოს შეხვედრაზე ეფიქრობ ამ მხრივ საკმაოდ ითქმებოდა ჩვენს სასარგებლოდ. რაც შეეხება გაეროს, მე შემიძლია ეთქვა მისი წარმომადგენლის ბრუნერის საუბრის მიხედვით, რომელიც მან რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი მოლაპარაკების ანდ ბაე იქიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ამას გარდა ყოველგვარი მოლაპარაკება უნდა მოხდეს გაეროს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. და ერთიც, რუსეთს არა აქვს უფლება იყოს არბიტრის ანუ განმსჯელის როლში.

დისკუსია გაეროში სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს, თუმცა საქართველოს დელეგაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, გენერალურ ასამბლეას დაუმტკიცოს, რომ კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის კი არა, საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს.

ჩვენთვის სულ მალე გახდება ცნობილი გაეროს გადაწყვეტილების შინაარსი, მაგრამ არ იქნება ცნობილი, რუსეთი გონების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის გზას გაჰყვება და ხელს აიღებს აგრესიაზე, თუ კლავ. იმპერიალისტური ზრახვებით შემოგვიტევს.

— სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი ომი თუ კონფლიქტი ვიცით, სადაც გაეროს ეგიდით ჩარეულმ არაფერი შედეგი არ გამოიღო, ალბათ ამისათვისაც უნდა ვიყოთ მზად.

— გაეროს პოლიტიკური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს გამარჯვებას. დღეს რუსეთი, მოგეხსენებათ, აშკარა ომს ეროდება, „დაქირავებულებს“ გვიგზავნის, ამასთან ისეთებს, ვინც მზადაა ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინოს. ასეთი საყრდენის გამოყენება, დამერწმუნეთ გამოსაყენებლის დამარცხების სიმპტომია.

— ჩვენ, ალბათ, ჩრდილოკავკასიელთა აგრესიული ზრახვებიც არ უნდა დავივიწყოთ.

— მათი დაპირისპირება დროებითია, რადგან არ ამაგრებს გეოპოლიტიკური ფაქტორი. იგი მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის ინსპირირებული. არ არის მართალი რომ ჩრდილოკავკასიელებს ჩვენ ზღვაზე გასასვლელი იზიდავთ. მათ არა აქვთ დაიწყებული თავისი ზღვაზე გასასვლელი — ნოვოროსიისკი და ტუაფსე, რომელიც მათი გენოციდის შემდეგ რუსებითაა დასახლებული.

ვიმეორებ, ჩრდილოკავკასიის აგრესიულობას დიდი დღე არ უწერია. ჩვენი ერების ისტორიულ ცნობიერებაში ძალიან ბევრი საერთოა.

— ბატონო ნოდარ, თქვენს საუბარში ოპტიმიზმი აშკარად სჭარბობს პესიმიზმს, და მაინც, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი?

— მე დარწმუნებული ვარ, პარტია, რომელსაც საქართველო თამაშობს, მოსაგებია. ძალიან უნიჭოები უნდა ვიყოთ, რომ წავაგოთ. საერთოდ კი საქართველოს საბოლოო ხსნა შეუძლია თუნდაც საშუალო ნიჭის, მაგრამ ბოლომდე პატიოსან მთავრობას. ამისათვის საჭიროა მტკიცე ხელი, მტკიცე წესრიგის დამყარება, დიდ მაშტაბიანი ქურდობების აღკვეთა, შეიარაღებული ძალების მოწესრიგება, პოლიტიკური მოტივირებით პიროვნების დევნის, ანუ იმ სასაცილო მანიისაგან განთავისუფლება, რომელსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგის შიში ჰქვია. ყველა ამ მიზნის დასაგვირგვინებლად კი აუცილებელია რუსეთის ჯარის გაყვანა და მისი აგენტურის უნებელყოფა.

ამ ამოცანების შესრულებ არ გაგვიჭირდება, თუ მოვლენ არა მარტო ახალი, არამედ ახალი ტიპის კადრები მოსახლეობის ნამდვილი, ანუ საშუალო ინტელიგენციიდან. იმ ფენიდან, რომელსაც არასოდეს უკადრია მედროვეობა და არ უსარგებლია დიქტატორებთან მეგობრობით.

ეს კადრები კი უნდა მოიყვანოს იმ ხელისუფლებამ, რომელიც ახალი არჩევნების შემდეგ მოვა, ამიტომ მიმაჩნია ეადამდელი არჩევნები საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

ესაუბრა
ჯემალ კასრაძე

8 ივლისი

ენა და სახელმწიფო

საქართველოში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემატიკაში ცენტრალური ადგილი ყოველთვის ქართული ენის დაცვის საკითხს ეკავა. ახლა, როდესაც ეროვნებათშორისო ურთიერთობანი უაღრესად გამწვავებულია, ენობრივმა საკითხებმა ერთგვარად მეორე პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ დღესაც, ჩვენი თანამემამულების სამართლიან გულისტკივილს იწვევს ის ფაქტები, რომლებიც ქართული ენის შეზღუდვას შეეხება. როდესაც საქართველოში გამართული პრესკონფერენციების დროს იგნორირებულია სახელმწიფო ენა, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებების დასახელებათა გამომხატველი ქართული აბრების გვერდით, ადგილი ინგლისურმა ენამ დაიკავა და სხვ. არ გაგვაჩნია კანონი ენების შესახებ, რომელიც ენების გამოყენებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს დაარეგულირებდა და მრავალ საჭირბოროტო საკითხს გადაწყვეტდა. საჭიროა, აქედანვე ორგანულად შევითვისოდ სახელმწიფო ენის დაცვისა და პატივისცემის მოთხოვნა, გავიზიაროთ ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. ზემოთქმულის შესახებ კი, თავიდანვე უნდა აღინიშნოს: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ყრილობების, სხდომების, კონფერენციების და სხვა ოფიციალური შეკრებების ენა არის სახელმწიფო ენა. პირები, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას, უფლება აქვთ გამოვიდნენ სხვა ენაზე. მათი გამოსვლა გადათარგმნება სახელმწიფო ენაზე.

ყველა ქვეყანაში სახელმწიფო თანამდებობის პირებისაგან, ყოველთვის მოითხოვენ სახელმწიფო ენის გამოყენების წესების მკაცრად შესრულებას. მაგალითად შვეიცარიაში პრეზიდენტმა, რომელიც ერთი წლის ვადით არის არჩეული, უნდა იცოდეს სამი სახელმწიფო ენა. მას ეპატიება მხოლოდ რეტო-რომანული ენის არცოდნა, სხვაგვარად იგი საყოველთაო უკმაყოფილებას გამოიწვევს. მის სახალხო ტელე-მილოცვას ხომ ოთხივე სახელმწიფო ენაზე ელოდებიან. აქ მთავრობა სახელმწიფო ენის წესების დარღვევას ვერც გაბედავს, ამისათვის მას მეორე დღესვე მოუხდება გადადგომა. 80-იან წლებში ბელგიაში ერთ-ერთი კომუნისმერმა ჟ. აპარმა უარი განაცხადა დაემოწმებინა ოფიციალური ენის — ფლამანდურის ცოდნა, რეგიონის გუბერნატორმა აპარი მოხსნა თანამდებობიდან. სახელმწიფო ენის გამოყენების წესების შესრულება სავალდებულოა ყველასათვის. იგი ხომ ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი გამოვლენაა!

ეროვნულ-ენობრივ პრობლემას აქვს ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული ასპექტი— ენისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება. საქართველომ საყოველთაო რუსიფიკაციის პირობებში შეინარჩუნა ქართული ენის სახელმწიფოებრიობა. მაგრამ სახელმწიფო ენის ინსტიტუტის შინაარსი და სხვა ენებთან მისი დამოკიდებულება იურიდიულ მეცნიერებაში არ არის საკმარისი სიზუსტით განსაზღვრული და დამუშავებული. ეს შემთხვევითი როდია, რუსული ენის გარდა სხვა ეროვნული ენების სახელმწიფოებრიობა წინასწარ იყო უმოქმედობისათვის განწირული. კონსტიტუციაში მთავარი პრინციპებისა და დებულებების გამოცხადებას (თუ მას ფასალის ახვევის მიზანი არ აქვს) თან სდევს მათი დაწვრილებითი გადმოცემა და განმარტება სხვა სამართლებრივ აქტებში. სწორედ ამგვარი გარანტიებისა და განხორციელების მექანიზმების არსებობის გამო, სახელმწიფო ენის ინსტიტუტის გარდა უმოქმედო იყო ისეთი კონსტიტუციური უფლებები, როგორიც იყო რეფერენდუმის ჩატარების უფლება, კავშირიდან გასვლის უფლება და სხვ.

„ენისათვის არსებობა ნიშნავს იმყოფებოდეს განუწყვეტელ გამოყენებაში“ (ვ.ზვენგინცევი) საქართველო ერთადერთი ტერიტორიაა სადაც ქართველი ერი მოსახლეობს და თუ არა აქ, მაშ სად მოეცემა ქართულ ენას დაცვისა და განვითარების საშუალება?! ამის გარანტიას კი იძლევა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამოყენებას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოში მრავალი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს. ამიტომ სახელმწიფოს მომავალი უშუალოდ უკავშირდება იმას, თუ როგორ განვითარდება ეროვნებათშორისი ურთიერთობანი. ცნობილია, ხშირად ენა ხდება პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, რადგანაც მასზე დაყრდნობით ამა თუ იმ ჯგუფს შეუძლია მობილიზაცია გაუკეთოს ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას თავისი კერძო მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ენასა და კულტურას. ამიტომ საჭიროა კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ენასთან ერთად დაიცავს ენობრივ უმცირესობათა კონსტიტუციურ უფლებებს.

სახელმწიფო ენის სტატუსი უშუალოდ უკავშირდება ერის ეროვნულ სახელმწიფოებრიობას. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენის ინსტიტუტი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია. თუმცა მონოეროვნულ სახელმწიფოებში ენების გამოყენების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა არ დგას. მოსახლეობის უმრავლესობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის ენა არ შეიძლება სახელმწიფო ენად გახდეს ავტომატურად, როგორც უშუალო ფაქტი მისი უპირატესი გამოყენებისა ოგანოებისა და მოქალაქეების ურთიერთობაში. სახელმწიფო ენად მიჩნევისათვის აუცილებელია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მისი ასეთად აღიარება, შესაბამისი იურიდიული გაფორმება.“ (ა.პიგოლკინი)

სახელმწიფო ენის პირველი აუცილებელი ნიშანი არის ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე გამოცხადება და გაფორმება.

სახელმწიფო ენის ინსტიტუტის მეორე დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ სახელმწიფო ენა ფუნქციონირებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. შეუძლებელია სახელმწიფოს ერთ ნაწილში ან მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიის ფარგლებში სახელმწიფო ენასთან ერთად ფუნქციონირებდეს სხვა ენაც, ადგილობრივი ოფიციალური ენის სტატუსით. სახემლწიფო ენისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელის მოქმედების ფარგლები შეზღუდულია — იგი სახელმწიფოს ერთ ნაწილში მოქმედებს, ხოლო სახემლწიფო ენის მოქმედება გარანტირებულია სახემლწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ამიტომ მათ შორის უთანაბრობა აშკარაა. თუ სახემლწიფოს ტერიტორიაზე თანაბრად გამოიყენება ორი ან მეტი ენა მაშინ რამდენიმე სახელმწიფო ენის არსებობამდე მივდივართ. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს სახელმწიფო ენის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი მესამე ნიშანი — სახემლწიფო ენის მატარებელნი არიან სუვერენული სახელმწიფოები რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მის ფუნქციონირებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში იმის მაგალითებიც არის, როდესაც ქეყანაში არსებობს რამდენიმე სახემლწიფო ენა და თვითოეული მათგანი არ ფუნქციონირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მაგალითად. შვეიცარიაში ოთხი სახელმწიფო ენაა — გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტო-რომანული. თვითოეული მათგანი სახელმწიფო ენის ფუნქციებს ასრულებენ ქვეყნის განსაზღვრულ ლინგვისტურ ზონაში. თუმცა სახელმწიფო ენების სწავლება სავალდებულოა. შვეიცარიის ფრანგულენოვან ნაწილში მოსწავლეები ვალდებულნი არიან ისწავლონ გერმანული ენა. გერმანულ კანტონებში ასწავლიან ფრანგულს, ხოლო იტალიელები და რეტორომანელები სწავლობენ ფრანგულსაც და გერმანულსაც. ორმხრივი პატივისცემა და მოთმინება შესაძლებლობას აძლევს შვეიცარიელებს დაივიწყონ ენობრივი ბარიერები. თავაზიან ტონად ითვლება ოფიციალური წერილის გაგზავნა ჟენევიდან სენტ-გალენში არა ფრანგულ ენაზე, არამედ იქ მიღებულ გერმანულ ენაზე. შვეიცარიის გერმანულენოვან ნაწილში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ გერმანულ ენაზე, ხოლო ლოზანასა და ჟენევაში მხოლოდ ფრანგულზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებში, რომლებიც ლინგვისტურ ზონებად არის დაყოფილი ენისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭების საფუძველი არის არა ერთი რომელიმე ერის ეროვნული სახელმწიფოებრიობა, არამედ ამდენივე ერთეული ჯგუფების კომპაქტურად მოსახლეობა. ამ განსხვავებული საფუძველის გამოა, რომ სახელმწიფო ენა არ ფუნქციონირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის საფუძველი არის ერთიანი ქართული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ცნებაში, ბუნებრივია ქართული რეალიები უნდა იქნას გათვალისწინებული.

სახელმწიფო ენის ინსტიტუტის მეოთხე ნიშანი არის ის, რომ სახელმწიფო ენის გამოყენება გარანტირებულია სახემლწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროში. ყველა კერძო პირს გარანტირებული აქვს უფლება სახემლწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა იქონიოს და საქმე აწარმოოს სახელმწიფო ენაზე. ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობა, საქმისწარმოება და დოკუმენტაცია მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.

სახელმწიფო ენას ვალდებულია ფლობდეს ყველა თანამდებობის პირი და სხვა მომსახურე, იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა მათი სამსახურებრივი ვალდებულებების განსახორციელებლად. ამასთანავე თანმდებობის პირები, აგრეთვე სხვა მუშაკები, თუ ფლობენ სხვა ეროვნებათა ენას, უფლება აქვთ გამოიყენონ ეს ენა ზეპირ ურთიერთობებში, თუ ეს აადვილებს კერძო პირებთან ურთიერთობას. ფინეთში სადაც ორი სახელმწიფო ენაა — ფინური და შვედური, სამსახურში მიღებისას ფინელები გამოცდას აბარებენ შვედურში, ხოლო შვედები ფინურში. ასევეა ბელგიაში, რომელიც ორი ისტორიული რეგიონისაგან შედგება — ვალონია და ფლანდრია. ოფიციალური ენები არის ფრანგული და ნიდერლანდური საშუალო სკოლიდან დაწყებული ერთი რეგიონის ენის შესწავლა სავალდებულოა მეორე რეგიონისათვის. ასე, რომ სახემლწიფო ენის შესწავლა სავალდებულოა ყველა სასწავლო დაწესებულებაში, მიუხედავად უწყებრივი ქვემდებარეობისა.

თუ სახელმწიფოში მკვიდრი ერის რიცხობრივი რაოდენობა ნაკლებია სხვა რომელიმე ერთი ერის რაოდენობაზე, მაშინ ენების სამართლებრივი რეჟიმის გადაწყვეტისას ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნას. ამიტომ სასურველია, სახელმწიფო ენა იყოს სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლიური ენა. ჩვენი აზრით, მსოფლიოს ლინგვისტური რუქის მრავალფეროვნების გამო, შეუძლებელია ამომწურავად განისაზღვროს სახელმწიფო ენის მატარებელნი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენა სამართლებრივი რეგულირების უაღრესად სათუთი ობიექტებია და მასზე შესაბამისად ერთბაშად, გატიური ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს, როგორც სამართლებრივი რეგულირების აშკარა ხარვეზებმა, მისმა არასაკმარისობამ, აგრეთვე ზედმეტმა სამართლებრივმა რეგლამენტაციამაც.

ლატვიისა და ესტონეთის ენის შესახებ კანონების პრეამბულაში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი უზრუნველყოფს მათი ენების სამართლებრივ დაცვას. მათი პრობლემები გასაგებია. საერთოდ კი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფო ენას წაეყენება, მდგომარეობს „მის მიერ არა იმდენად დამცავი ფუნქციების შესრულებაში ამა თუ იმ ეროვნული ენის მიმართ, რამდენადაც მის ეფექტურ გამოყენებაში ოფიციალური ურთიერთობების სფეროში ენა-შუამავლის სახით ცნობილია, ქართული ენა ამგვარ ფუნქციას ტრადიციულად ისტორიის მანძილზე ასრულებდა.

სახელმწიფო ენა არის ენა, რომელიც ფუნქციონირებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ამგვარი სტატუსი მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით. როგორც წესი, სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მუშაობა ოფიციალური ენა, კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო ენასთან ერთად, ავტონომიის ან სახელმწიფოს ტერიტორიის ერთ ნაწილში გამოყენება ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, უწყებების საქმიანობაში.

სახელმწიფო ენის ინსტიტუტის არსებითი ნიშანი, რომელიც მას ადგილობრივი ოფიციალური ენისაგან განასხვავებს არის ტერიტორიულობის ნიშანი. სახელმწიფო ენა უნდა ფუნქციონირებდეს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. პირი რომელიც სახელმწიფო ენას ფლობს, გარანტირებულ უნდა იყოს უფლებით ამ ენაზე აწარმოოს საქმე ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში. ადგილობრივი ოფიციალური ენები ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ. ამიტომაა სახელმწიფო ენის მატარებელი ეროვნული სუვერენული სახელმწიფო, იგი უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ავტონომიები და კომპაქტურად მოსახლე ერთეულოვანი ჯგუფები — ოფიციალური ენების მატარებელნი.

და ბოლოს, რა თქმა უნდა ენობრივ და ეროვნულ პრობლემებს მხოლოდ სამართალი ვერ გადაწყვეტს, მაგრამ მან არ უნდა დაძაბოს ისედაც გართულებული ვითარება ენების სამართლებრივი. დაცვის გარანტირებულობა გამომდინარეობს არა მხოლოდ სამართლებრივი სახემლწიფოს კონცეფციის პრიორიტეტიდან, არამედ. სუფთა პრაგმატული მიზნებიდანაც, რადგანაც ეროვნულ-ენობრივი პრობლემების მოუგვარებლობა დიდ საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახემლწიფოს მომავალს.

გიორგი გოგიაშვილი

ომს ჯარისკაცები იგებენ და არა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ფოტოები იმ შვიდი ვაჟკაცისა ვინც სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის დასდო თავი დასავლეთის ფრონტზე. დიახ დამოუკიდებლობისათვის, რადგან ის ვინც გვებრძვის არც აფხაზების სიყვარულით გვებრძვის და არც გაგრის ზონის წართმევისათვის, ის თავისუფლების წართმევისათვის თუ არა მნიშვნელოვნად შეზღუდვისათვის ბომბავს ჩვენს ქალაქებს და სხავს დესანტს, მერე კი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უსირცხვილობითა და უზნეობით აცხადებს — როგორც არასოდეს ისე მჭირდებაო ერთიანი, ძლიერი საქართველო.

ჩვენს ხელთ აღმოჩნდა სამი დაღუპული ახალგაზრდის სამხედრო ბილეთი, რომელთა ზერელე გაცნობამაც არ შეიძლება არ შეგაშფოთოს და სულით ხორცამდე არ შეგძრას.

იდუკაშვილი ბონდო გივის ძე დაიბადა 1975 წლის 7 ივლისს, გაიწვიეს 1993 წლის 19 მაისს, 55060 სამხედრო ნაწილში ჩაირიცხა 16 ივნისს.

ბახტაძე ბადრი ბეჟანის ძე დაიბადა 1975 წლის 11 მაისს, გაიწვიეს 1993 წლის 18 მაისს, იმავე დღეს 16 ივნისს ჩარიცხეს იმავე 55060 სამხედრო ნაწილში.

მათზე სამი წლით უფროსი გელაშვილი კობა ომარის ძეც 18 მაისს გაიწვიეს. სამივე. ეს ახალგაზრდა ერთ დღეს დაიღუპა სოფელ აძიუბჟასთან.

შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს არაერთგზის განუცხადებიათ, რომ საომარი მოქმედებების ზონაში გაყავთ მხოლოდ რეზერვისტები და არავითარ შემთხვევაში ახალგაზრდა, გაუწვრთნელი რეკრუტები. სხვათა შორის ასეთი განცხადებები ხელისუფლების უფრო მაღალი რანგის მოხელეებისაგანაც მოგვისმენია. ჩვენს ქვეყანაში სიტყვა და საქმე, რომ კარგა დიდი მანძილით სცილდება ერთმანეთს ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის როცა უნდა გავჩუმდეთ — ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, როდესაც 18 წლის დედის კალთიდან აგლეჯილ ბიჭებს ხელში ავტომატს შეაჩეჩებ და რუსეთის სადესანტო-საიერიშო ნაწილებში სისხლზე დაგეშილ, ავლანეთში, ფერგანაში, ყარაბაღში, დნესტრისპირეთში გამოცდილებამიღებულ მხეცებს დაუპირისპირებ. ეს უფრო მეტია ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული. ეს ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რომელსაც ვიღაცის მიზეზით ჩვენი გენოფონდი ეწირება.

70-იანი წლების დასაწყისში იმპერიის არმიის სახაზო ნაწილებში, როგორც ამას თვითონ მაღალი ჩინის რუსის ოფიცრები აღნიშნავდნენ, ცოცხალი ძალის უკმარისობა იყო. მოტომსროლელ პოლკებში რიგითებისა და სერჟანტების 80—85 პროცენტი ჰყავდათ. ამას ისინი „ნეკომპლექტს“ ეძახდნენ და ამით ხსნიდნენ, რომ ეს დანაკლისი 1941—43 წლებში დაღუპულთა არდაბადებულ შვილიშვილებზე მოდიოდა. ასეთი ერთი შეხედვით უცნაური სტატისტიკაც ჰქონდათ. ორმოციანი წლების დასაწყისში დაღუპული ადამიანების არყოფნა რუსის ჯარს 70-იანი წლების დასაწყისში დაეტყო, ჩვენს მცირერიცხოვან ერს როდის დაეტყობა 90-იანი წლების დასაწყისში დაღუპული ბიჭების სიცოცხლე? ხოლო თუ როგორ დაეტყობა ეს უკვე გასაგებია. არადა ამ სასაკლაოზე გარეკილ ყმაწვილებს ჯარისკაცული ანაბანა რომ ესწავლათ მაინც, თვითონაც იცოცხლებდნენ და სიცოცხლის საწყისნიც გახდებოდნენ.

ხალხთა საპყრობილეში, რომლის მთავარი „ნადზირატელი“ ნიკოლოზ მეორე რომანოვი გახლდათ, პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელები იმპერიის სატახტოს ლამის გარეუბანს ფსკოვს უტევდნენ, მაინც არ გაყავდათ წინა ხაზზე გაუწვრთნელი ჯარისკაცი. მაშინ მოსამზადებელი პერიოდი არტილერისტებისა და კავალერისტებისათვის თითქმის ერთ წელს შეადგენდა, ხოლო მსროლელისათვის, ვისაც მხოლოდ სამხაზიანი შაშხანის ხმარების ცოდნა ევალებოდა ექვს თვეს. ეს წესი მეორე მსოფლიო ომის დროს ნიკოლოზის მემკვიდრე გორელმა ბიუმა ფეხებზე დაიკიდა და მარტო მოსკოვთან პირდაპირ მერხიდან წამოკრეფილი ხალხის დივიზიები შეაწყვიტა გუდერიანის რჩეულ ნაწილებს. წითელ იმპერიას ყოველთვის საკუთარი არსებობის გადარჩენა მიაჩნდა უპირველეს საქმედ. საინტერესოა ამ ბიჭების ფრონტის ხაზზე გამგზავნებს რა მიაჩნიათ უპირველეს საქმედ — მტრის გამანადგურებელი ჯარისკაცებით ქართული არმიის დაკომპლექტება თუ მტრის გასანადგურებელი ჯარისკაცების მოგროვება. საქართველოში იმპერიის არმიაში წვრთნაგავლილი რეზერვისტების საკმაოდ დიდი კონტიგენტია, მათ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა თუ რა თქმა უნდა გასაწვევი პუნქტები იმუშავებენ ისე, როგორც ეს მათ ევალებათ.

მერაბ მაისურაძე

გურამ მინდიაშვილი

ვინ იფიქრებდა, რომ შენ ასეთ წყნარ, გულჩათბრობილ კაცს ამდენი შეგეძლო.

ხშირად სიტყვა გმირობაც გვიუფასურდება, მაგრამ შენ ნამდვილად გეკუთვნის ეს კაცობის შემამკობელი სახელი. „სტრაშნის“ გეძახდნენ თანამებრძოლები, ტანკზეც ასე ეწერაო. მტრისათვის იყავი საშინელი და იმიტომ — პირველ ყოვლისა საშშობლოსათვის ანთებული გულით და პროფესიონალიზმით.

2 ივლისს მტრის პირველი შემოტევისას, დაეცა მთელს აფხაზეთის ფრონტზე გამოჩენილი ტანკისტი. ისევ შენი მწყაწყლის კაცმა ელგუჯა ჭულუხაძემ შემობედა შენი ცხედრის გამოსატანად ტყვიების თქეშში და ისიც წაგვიკიეს.

შენი გამზრდელი ცხინვალის ჭუჩებში გაგატარებენ და დაიკენესებს შენი ნატყვიარი გული. იქაც უნდა ებულრავა შენს ტანკს, მაგრამ არ დაგცალდა. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი ქვეყრტის მშობლიური მიწა, დაფასებოდეს საშშობლოს შენი და შენი მეგობრების ზეარაკად შეწირული სიცოცხლე და თავისუფალ საქართველოში ეცხოვროსთ შენს მინდიასა და დიმიტრის.



გია ჯაფარიძე

აფხაზეთში გმირულად დაიღუპა საქართველოს სახალხო ფრონტის ადიგენის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ექიმი გია ჯაფარიძე, რომელიც დაწყებული სამაჩაბლოდან ყველა ცხელ წერტილში იბრძოდა და სიკვდილმა სოხუმში მოუსწრო, დარჩა 3 წლის ვაჟი სანდრო. გვჯერა, რომ მამის კვალზე იგი ვაჟკაცი გაიზრდება.

საქართველოს
სახალხო ფრონტი

მანანა სტურუას და გია მაისურაძეს ვულოცავთ ვაჟიშვილის — ირაკლის შეძენას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მრავალშვილიანობას.

მეგობრები

რამაზ [illegible]ძეს და ნელი ლორიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ბედნიერებას, სიხარულს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს საყვარელ ოჯახებთან ერთად.

ნონა

კანდიდ გოგუა

ძნელბედობის ჟამი დაუდგა სრულიად საქართველოს. მომრავლდა ძაებშემოსილი ოჯახების რიცხვი. ძალიან ძნელია ამდენ გმირადშერაცხულ პატრიოტთა შორის რომელიმეს მოგონება ისე შესძლო, რომ სულიერი ტკივილი არ განიცდო. დღეს, საერთო მტრის წინააღმდეგ ერის გაერთიანებული ბრძოლა ჩვენი ისტორიის მორიგი გამარჯვებაა. მაგრამ ვაი, რომ ერის სასიქადულო შვილთა ერთი ნაწილი სწორედ ძმის მიერ გასროლილმა ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს. სწორედ ასეთი რიცხვს მიეკუთვნება ჩხოროწყუს რაიონის ყოფილი გამგებელი ბატონი კანდიდ გოგუა, რომელმაც შარშან, 8 ივლისს, ჩხოროწყუ-წალენჯიხის გზაზე დალია სული. მამის სითბო მოაკლდა ხუთ შვილს, რომელთა შორის ორი მცირეწლოვანია.

რამდენი ფიქრი და იცნება გააჩნდა მომავალზე, რამდენი რამის მოსწრებას ფიქრობდა. ულმობელი ყოფილა მისი ბედისწერა, ვაი, რომ ახლა უფრო მძაფრად შევიგრძენით იმ სითბოსა და სიყვარულის ფასი, თქვენს ირგვლივ რომ ასხივებდით, ბატონო კანდიდ.

მკვლელს სათანადოდ უნდა მიეზღოს, მაგრამ შესაძლია გამონაკლისი დაუშვას კანდიდ გოგუას სულმა, თუ ეს ყოველივე საქართველოს ერთიანობის საწინდარი იქნება. ვფიქრობ, ამ სულის გამოძახილი უნდა შეიგრძნონ მისმა „პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა“.

ბოგი სორდია

გიორგი ხარატიშვილის ხსოვნას

როდესაც მეგობარი მიდის, ძალიან ძნელია ყველაფრის თქმა. სიტყვებს შეძლებ გეტყვით, გიო, დრო როცა გავა, ახლა კი შენი დაღუპვის ამბავი ჯერ ძლიერ ახალია და მიუჩვეველი. თუმცა ალბათ ვერც ვერასოდეს შეეგუები მეგობრის დაკარგვას, თუკი მასთან წლები და დიდი გრძნობა გაკავშირებს. მშვიდობით, გიო, ნათელში იყოს შენი სული, მოგონებას კი ჩვენ შევინახავთ გულებში მარად.

კლასელები

სარედაქციო საბჭო

თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შეკვეთილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
40 კუპონი